

საერთო გაზეთი

№41 (308) • 26 ნოემბერი, 2014 წელი • გაეგოს ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღასი 1 ლარი

უმაღურობის სინდრომი



რას ნიშნავს და საიდან მოდის ეს უმაღურობით გაჯერებული დასკვნა, რომ ბიძინა ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია?

საიდან მოდის და იქიდან მოდის, რომ ამის მთქმელი ადამიანი, ქართველი, საქართველოს შვილი, თვითონ არ თვლის თავის თავს ამ ქვეყნის განუყოფელ ნაწილად და საქართველოსთვის გაკეთებულ სიკეთეს პირადად მისთვის გაკეთებულ სიკეთედ არ მიიჩნევს.

ჰენრი ჰისინჯარის სკანდალური განაჩენი დასავლეთისთვის

თაიშერაჲ მარჩაჲ:

ჩვენი კონსოცხიუმი მზად არის დააფინანსოს „ანაკლია პორტი“-ს მშენებლობა



ირაკლი ღარიბაშვილი:

— მჯერა, რომ ანაკლიის პორტი იქნება ერთ-ერთი მთავარი სავიზიტო ბარათი საქართველოსთვის!

სამეგრელოში ღიღი აღმშენებლობის ხანა ღაიწყო



პატივცემულო ხელისუფლებავ, თქვენს მიერ მოშენებულ, „შემოდგომაზე დასათვლელ წინილებს“ ნაც-ტურებსა და ნაც-მელაკუდებს ნუ „ათვლევინებთ“!

„მე რა ვქნა, მე? რუსეთში წავიღაე... აშერიკაში...“ — და წავიღა აშერიკაში



სააკაშვილის გელესთუბები



ვინმემ გააჩერეთ ეს „ჯულიეტოვიჩი“ და „გრიგოლიჩი“, სანამ პირდაპირ ღია ეთერში სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება არ მოუხდენიათ

„მარბე და ყვირბან, სპაუტვირო, მე მარ მეთანბ...“ ირია

ჰაბტროლობტი

ორი გაზეთი ერთ გაზეთში

„საქართველოს მთავრობა გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ გაღმადგმულ ამ უანონო ნაბიჯს“



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლაშინაშვილი: რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული ეს პოლიტიკა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რუსეთის საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნის რეგიონისა და ზოგადად ევროპულ უსაფრთხოებას.

მოსკოვის ეს ნაბიჯი იდგება მამინ, როდესაც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად გამოხატავენ საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზების სურვილს, ხოლო საქართველოს მხრიდან გადაიღვა არაერთი პრაქტიკული ნაბიჯი ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის დეესკალაციის მიზნით.

საქართველოს მთავრობა არასდროს იტყვის უარს თავისი სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე და ამ საკითხში კომპრომისზე წასვლას არ აპირებს. ხოლო საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის ხარისხს განსაზღვრავს რუსეთის მიერ ამ პრინციპის პატივისცემა.

აღნიშნული ე.წ. ხელშეკრულების არსი ნათელყოფს იმ გამოწვევას, რომელსაც რუსეთის ფედერაცია უქმნის საქართველოს, მათ შორის აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ევროპულ მისწრაფებებს. მიუხედავად ამ გამოწვევისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი უცვლელია, ხოლო ხელისუფლება კვლავაც გააგრძელებს ძალისხმევას, რათა აფხაზეთის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას შეუქმნას ევროპული განვითარების პერსპექტივა, რომელიც არაა მიმართული რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ.

საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რათა რუსეთის აღნიშნული ქმედებების თაობაზე საერთაშორისო თანამეგობრობას მიაწოდოს ამომწურავი ინფორმაცია, იგი სრულად გამოიყენებს ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობების ფორმატებს, მის ხელთ არსებულ ყველა საერთაშორისო ბერკეტს. შენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მომდევ-



ნო რაუნდის ფარგლებში, რომელიც 9-10 დეკემბერს შედგება, საქართველო მწვავედ დასვა ამ ე.წ. „ხელშეკრულების“ ხელმოწერის საკითხს.

საქართველოს მთავრობა გმობს რუსეთის ფედერაციის მიერ გადაღმულ ამ უკანონო ნაბიჯს და მოუწოდებს საერთაშორისო თანამეგობრობას, სათანადო სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასება მისცეს რუსეთის ამ ქმედებას და შესაბამისი რეაგირება მოახდინოს მასზე.

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ლიბვის დაღმადგმულ უმასპინძლა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ლიბვის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელთან, ლაიმა ჯურევიჩიენისთან შეხვედრა გაიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე, ნოდარ კერესელიძე, მინისტრის მოადგილე, იური ნოზაძე და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, მარიანა მორგოშია.

მათივე ინფორმაციით, შეხვედრაზე მხრეებმა ორ ქვეყანას შორის სოფლის მეურნეობის მიმართული თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

„სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელმა პირებმა დეტალურად ისაუბრეს იმ პრიორიტეტებზე, რომლებიც გამოიკვეთა 2015 წელს სამინისტროს მიერ განსახორციელებელ საქმიანობაში. ლიბვის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელის, ლაიმა ჯურევიჩიენის თქმით, 2015 წლისთვის საერთაშორისო პროექტების დაგეგმვის დროს, ისინი მაქსიმალურად გაითვალისწინებენ სამინისტროს მიერ დასახულ პრიორიტეტებს, რაც უდავოდ გაზრდის ერთობლივი პროექტების განხორციელებით მიღებულ შედეგს“, - აცხადებენ სამინისტროში.

იური ნოზაძის თქმით, კოოპერატივების ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

„გასულ წელს ჩვენ ჩამოვყალიბეთ სასოფ-



ლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. უკვე გვაქვს პოზიტიური შედეგები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ლიბვის გამოცდილების გაზიარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის თვალსაზრისით“, - განაცხადა იური ნოზაძემ. მან ასევე ისაუბრა ახლადშექმნილ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრზე და ამ მიმართულებით, ლიბველ ექსპერტებთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე გაამხვილა ყურადღება.

ამასთან, როგორც ნოდარ კერესელიძემ აღნიშნა, ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში თანამედროვე სტანდარტების დანერგვის კუთხით, ჩვენი ევროპული კოლეგების გამოცდილების გაზიარება.

„დარწმუნებულები ვართ, რომ ლიბველი ექსპერტების ჩართულობა ხელს შეუწყობს საქართველოს მიერ ღრმად-ით ნაკისრი ვალდებულებების უტაპობრივ შესრულებას“, - განაცხადა ნოდარ კერესელიძემ

სასწრაფო დახმარების რაიონულ ცენტრებს 38 ახალი ავტომობილი გადაეცემა



სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის ავტოპარკის განახლების მეორე ეტაპზე, დასავლეთ საქართველოს სასწრაფო დახმარების რაიონულ ცენტრებს 38 ახალი, სამედიცინო წესით აღჭურვილი ავტომობილი გადაეცემა.

მანქანების გადაცემის ცერემონია 26 ნოემბერს, 12:00 საათზე ქუთაისში, ცენტრალურ მოედანზე, კოლხური შადრევნის წინ გაიმართა.

ღონისძიებას შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგენკო დასავლეთ საქართველოს რეგიონის რწმუნებულებთან და რაიონების მაჟორიტარებთან ერთად დაესწრა.

24 ნოემბერს, ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა ქართველი ემიგრანტი პოეტის ლექსების კრებულის „სული სივრცეში“ პრეზენტაცია, რომელიც ემიგრანტ ქართველებს და ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა.

მაკა კვმარაძე - პარტიზანი, რომელიც არის ჩიკაგოს ქართული კულტურის ცენტრის ერთ-ერთი დამფუძნებელი, იქვე არსებული სკოლის ქართული ენის მასწავლებელი და ჩიკაგოს ქალთა საბჭოს წევრი, თავის შემოქმედებებში აღწერს 12 წლის განმავლობაში საქართველო-ამერიკას შორის მრავალჯერადი მიმოსვლის დროს მიღებულ გამოცდილებას. საღამოს გურამ შარაშიძის მუზეუმის ხელმძღვანელი რუსუდან კობახიძე, ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები, პოეტები, ქალ-

თა საბჭოს რეგიონალური წარმომადგენლები და დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.



„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილაძე
გამომცემელი: შპს საზოგადოებრივი ცენტრი „საერთო სიჭკვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შპს (სტ) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოკვეთიდან ერთი წლის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იზაქიაშვილი შპს „გამომცემლობა საზოგადოებრივი“; ტელ.: 599 95 31 90
▶ ამ ნომრით აღიზნებულია სარედაქციო მასალა.



ჰენრი კისინჯერის სკანდალური განცხადებით დასავლეთისთვის

რანის შენარჩუნებისთვის, მაგრამ დასავლეთი არ არის მზად, ეომოს რუსეთს უკრაინის

მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, ვესაუბრებით „სტრატეგიული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელს, ბატონ პეტრე მამარაძეს

– ბატონო პეტრე, თქვენ როგორ განიხილავთ ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჰენრი კისინჯერის შეფასებას უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით?

– ჰენრი კისინჯერი, როგორც გამოჩენილი პოლიტიკოსი და მეცნიერი, აბსოლუტურ სიმართლეს ამბობს. ის განხილავს პიროვნებას, რომელმაც თავისი პრაქტიკული საქმიანობით დამტკიცა, რომ არის გამოჩენილი პოლიტიკოსი, რომელსაც აქვს გლობალური და სტრატეგიული ხედვა, განსხვავებით დღევანდელი პოლიტიკოსებისაგან მსოფლიოში, რეაგირებს ყოველ მოვლენაზე ოპერატიულად და ყოველთვის ანგარიშს უწევს იმას, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამა თუ იმ მოვლენას.

მის ამ შეფასებასაც გლობალური ხედვა ახლავს სწორედ რა ხდება დღეს მსოფლიოში? ის პირდაპირ ამბობს, რომ ამერიკას დღეს არ შეუძლია კარნახი და მსოფლიოში წესრიგის დაწესება. თუნდაც რომ გაიფიქროს აშშ-მ ამაზე, ესეც კი დიდი შეცდომა იქნება.

დღეს მსოფლიოში არსებობს ჩინეთის ხედვა, ისლამისტების ხედვა და მიდგომა, არსებობს ამერიკული ხედვა, გარკვეულწილად, არსებობს რუსული ხედვა მსოფლიოში, მაგრამ არ არსებობს მათ შორის კონსენსუსი და, შესაბამისად, არ არსებობს გზა ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარებისა – აი, რას ამბობს კისინჯერი. აქვე დასძენს, რომ თავის დროზე მსოფლიო წესრიგი 1648 წლის ვესტფალის სამშვიდობო ზავით დამყარდა ევროპაში დიდი ხნით, რასაც წინ უძღვოდა 30-წლიანი ომი, რომლის შედეგადაც ევროპის მოსახლეობის დიდი ნაწილი განადგურდა. ახლა კი ის კითხულობს, მსოფლიო წესრიგი დავამყაროთ მრავალწლიანი ქაოსისა და უბედურებების გზით თუ ჩვენი სადი მიდგომის შედეგად? მართლაც, დასავლეთმა დაუშვა დიდი შეცდომა, როცა სადავ ვერ შეაფასეს ის, თუ რას ნიშნავს უკრაინა რუსეთისათვის, ისტორიულად და დღესაც, რისთვის არის მზად რუსეთის მთავრობა, რომ შეინარჩუნოს უკრაინა, როგორც თავისი უშუალო მოკავშირე და რისთვის არის მზად დასავლეთი? რუსეთი მზად არის იომოს უკ-

სათვის. სწორედ ამ შეცდომამ და იმან, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებდა იანუკოვიჩის მთავრობა ევროკავშირთან ისე, რომ რუსებს არ ეკითხებოდნენ, თუმცა, საერთაშორისო ნორმებით ეს არ იყო სავალდებულო, გამოიწვია ყოველივე მაგრამ მერე რა მოხდა? შემდეგ უკვე ბრიუსელი თავად სთავაზობდა რუსეთს, რომ განეხილათ ასოციაციის ხელშეკრულება უკრაინასთან და თუ რაიმე არ მოსწონდათ მასში, ჩამსწორდით მასში, ამისათვის მზად იყო ევროკავშირი.

სამწუხაროდ, უკვე გვიანი იყო „თითზე კბენანი“, მაიდანის მომხდარი იყო, ყირიმი კი წაღებულ იქნა.

მე ვუთხარი ამერიკელ პოლიტიკოსებს, რომ პრეზიდენტი ობამა უფრო ნაკლებად საყვედურობდა პუტინს ყირიმის ანექსიის გამო, ვიდრე სექსუალური უმცირესობების უფლებების დარღვევის გამო. ეს ძალზე სამარცხვინოა – მაგრამ ფაქტია!

კისინჯერი, როგორც დიდი პოლიტიკოსი და რეალისტი დღეს ამბობს, რომ არ უნდა და-

სეთთან მოლაპარაკებებისა და მათი კეთილი ნების გარეშე – ვერ გადაწყდება! აქვე მე მახსენდება სტალინის სიტყვები ომის დამთავრების შემდეგ, როცა გაეროს ქარტიას უკვე მოეწერა ხელი, მან თქვა: „ამიერიდან მსოფლიოში სამართლებრივად ვერც ერთი პრობლემა ვერ გადაწყდება, რუსეთის კამილი ნების გარეშე“, – მიაქციეთ ყურადღება, რუსეთი თქვა და არა საბჭოთა კავშირი. ეს დღესაც ასეა, ვინაიდან გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის სტატუსი და ვეტოს დადების სტატუსი – არავის წაურთმევია რუსეთისათვის და ვერც წაართმევენ! და მეორე, თერმობირთვული იარაღის ვებერთელა არსენალი, რომლის მეშვეობით რუსეთს შეუძლია რამდენჯერმე შეიძინოს მოსპოს მსოფლიოში სიცოცხლე – ესეც რჩება რუსეთს! ამ ფაქტორების არგათვალისწინება და იმისა, რომ პუტინი წინასწარ აცხადებს იმას, რასაც გააკეთებს და ამას არავინ უგდებს ყურს – არის პოლიტიკური სიბუცე, რაც შემდგომში ზრდის რისკებს.

ზოგჯერ იმასაც ამბობენ, რომ რუსეთში უკმაყოფილება

ის ასახელებს პირდაპირ, არამართავი ტერიტორიებიდან წამოსულ საფრთხეებს. მაგ.: ლიბიას. კადაფი მოიშორეს, მაგრამ შემდეგ რა მოხდა? ეს არის უმართავი ტერიტორია დღეს, ამაზე რატომ არ იფიქრებს წინასწარ?

ძალიან საინტერესოა კისინ-



ჰენრი კისინჯერი

ჯერის აზრი ყირიმთან დაკავშირებით. ის სულაც არ ფიქრობს იმას, რომ დასავლეთმა უნდა სცნოს ყირიმის ანექსია და აღიაროს, რომ ის რუსეთის ტერიტორიაა, უბრალოდ, დასძენს, რომ თავის დროზე არც ბალტიის ქვეყნებს არ სცნობდნენ სსრკ-ს შემადგენლობაში, მაგ-

რომელიც დღეს არავის არ სჭირდება. საქმე კი გადავა კონსტიტუციულ მსოფლიოსათვის სასარგებლო რეჟიმში. ის მკვეთრად იმეორებს ხშირად, რომ ამერიკის უამრებმა ადამიანმა უნდა იყოს პარანახი მსოფლიო წესრიგისა და არც კალიბრის დამამართებელი – დამამართებელი მისთვის ეს დრო!“

– ბატონო პეტრე, კისინჯერი იმასაც ამბობს, რომ თუ დასავლეთი განახორციელებს ეკონომიკურ სანქციებს რუსეთის მიმართ, ეს იქნება კონტრპროდუქტიული ისევე დასავლეთისათვის...

– ის, რომ დასავლეთი უწყვეტად რუსეთს სანქციებს, იწვევს რუსეთის შიგნით მოსახლეობის მობოლიზაციას, ისინი მზად არიან იმისათვის, რომ დიდ გაჭირვებასაც გაუძლონ. რუს ხალხს ეს ტრადიცია და უნარი აქვს, ამის პოტენციალი იქ არის, ამას დასავლეთის მოსახლეობა ვერასოდეს ვერ შეძლებს. სანქციები ახანგრძლივებს და აძლიერებს პუტინის რეჟიმს და მეტი არაფერი. ვთქვათ, სანქციებმა დააჩქარა იქ ეკონომიკური ვარდნა (ამჯერად გარკვეულწილად არის კიდევ იქ), მერე რა მოხდება? რა შეიცვლება? რატომ იქნება უკეთესი ეს დასავლეთისათვის? პუტინის შემდგომი პრეზიდენტი რატომ იქნება მათთვის კარგი? – ამაზე დასავლეთს პასუხი არ აქვს.

რუსეთის მიმართ ნებისმიერი ტიპის სანქციებს ბევრი ქვეყანა არ დაუჭერს მხარს.

ერთს გავიხსენებ, ჯერ როდის იზრუნა კისინჯერმა იმაზე, რომ აშშ-ს ჰქონოდა ის ურთიერთობები ჩინეთთან, რომელიც დღეს აქვთ? მთელი ამერიკული კომპანიები დღეს იქ არის თავმოყრილი, მოგება ტრილიონებია – აი, ეს არის შორსმჭვრეტელი პოლიტიკა ამ ბრძენი კაცისა და შედეგი ამ ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერისა. აი, ეს ხედვა არ აქვს თანამედროვე მსოფლიოს და იმიტომაც არის პოლიტიკური ქაოსი. აშშ განიხილავს დღეს ჩინეთს, როგორც გლობალურ ზემოქმედებას.

მიმანია, რომ ჰენრი კისინჯერი, დღეს უკვე 91 წლის პიროვნება, ბრძენკაცი, გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი და უფრო თანამედროვედ აზროვნებს, ვიდრე დღეს მოქმედი ბევრი ახალგაზრდა პოლიტიკოსი.



უშვა ის შეცდომა, რომლის გამო მოსწორება შემდგომში მოგიწევს დამცირების ფასად და ვერც გამოასწორებ. იგი ხედავს, რომ გლობალურ მსოფლიოში ბირთვული იარაღის გავრცელების კვალობაზე, ტერორიზმის საერთაშორისო გავრცელების ფონზე, დასავლეთს სულ სხვა პრობლემები აქვს გადასაწყვეტი რუსეთთან ერთად, ეს განხილავს სირიის პრობლემა, ირანის პრობლემა, – რომელნიც რუ-

იზრდება და პუტინის რეჟიმი შეიძლება დამთავრდეს, მაგრამ სად არის იმის გარანტია, რომ უფრო სტაბილური რეჟიმი მოვა და უკეთესი იქნება ის მსოფლიოსათვის?

კისინჯერი თავის შეფასებებში ხაზს უსვამს, რომ სანამ გვიანი არ არის და რისკები არ გადაზრდილა სავალალო რეალობაში და სრული ქაოსი არ დაწყებულა მსოფლიოში, გასათვალისწინებელია ზემოთქმული.

რამ ამის გამო საბჭოთა კავშირს პრობლემები არ შექმნია. ეს აპრობირებული ფორმა და უმტკივნეულო. სწორედ ამ ფორმის ფონზე შეიძლება დღეს რუსეთთან აქტიურად ითანამშრომლოს დასავლეთმა, ირანთან, სირიასთან თუ სხვა საერთაშორისო საქმეებთან დაკავშირებით, ეს სრულიად მისაღებია. ამით შემცირდება გარკვეული რისკები მთელ მსოფლიოში და ნამდვილი „ცივი ომი“ რუსეთთან,

თეიშურაჲ ქარჩაჲა: რვენი კონსორციუმი მზად არის დააფინანსოს „ანაკლია პორტი“-ს მუენახლოჲა

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს, საუკუნის პროექტად წოდებული, – „ანაკლიაში შავი ზღვის ახალი ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობისა და ოპერირების შესახებ გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვის ვადა დასრულდა.

ცნობილია, რომ, კონკურსში მონაწილე 12 კომპანიას შორის არის ქართული „ANAKLIA PORT & INDUSTRIAL ECO PARK CONSORTIUM“-ი, სადაც გაერთიანებულია, ჩინური კომპანია „ჩაინაპაუერი“ და ინგლისური „ბრიტიშ ეკოპაუერი“.

საქმე საქართველოს სახელმწიფო-სტრატეგიულ პროექტს ეხება, რომელმაც უკომპრომისო, მსოფლიო კონკურენციის პირობებში უნდა უზრუნველყოს ორი კონტინენტის, ევროპისა და აზიის დაკავშირება, დღეისათვის არსებული ყველა სატრანსპორტო საშუალებების (საზღვაო, საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო და მილსადენები) ერთობლიობით, საქართველომ კი, უკონკურენტო კოორდინატორის როლი დაიმკვიდროს.

როგორც ადრე მოგახსენეთ, მთავრობის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე სა-

მე არაერთგზის მითქვამს, რომ, ცალკე აღებული, ანაკლიაში პორტის მშენებლობა, ძნელად, ან, შეუძლებლად საერთოდ არ განხილულიყო. გამოდინარე აქედან საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ჩვენს მიერ შეტანილ წინადადებაში, ვრცლად წარმოვაჩინეთ, – მეგაპროექტ „ანაკლია პორტის“ შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და ქვეყნისთვის სასიცოცხლო ენერგო და სოფლის მეურნეობის პროექტების განხორციელების საკითხებიც.

საქართველო რომ ერთ-



ბიზნეს-პროექტებით შეივსო. მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო და მეორე პრიორიტეტად იქნა მიჩნეული, ქვეყნის ჰიდრო და სასოფლო სამეურნეო პოტენციალი.

ბუნებრივია, როცა ასეთი მასშტაბის პროექტებზე მიდის საუბარი, რისკიც შესაბამისად დიდია და ინვესტორთა ჯგუფს, კაპიტალის მხოლოდ ერთი მიმართულებით დაბანდება სირთულეებს უქმნის. ამიტომაც, მათთვის, ახალი საინვესტიციო სფეროების შეთავაზება საინტერესო და მიმზიდველია.

ამის შესახებ, ჩვენ ადრეც გვექონდა საუბარი, მაგრამ იგი ახლა საბოლოოდ გადაწყდა „ანაკლია პორტი“-ს დაფინანსების საკითხთან ერთად.

– როგორც ცნობილია, ანაკლიაში პორტის მშენებლობა, „ახალი აბრეშუმის გზის“ პროექტის მხოლოდ ერთი ნაწილია, რომელიც საქართველოს საზღვრებს ცდ-

ბა. საბოლოოდ, რა მოცულობის ინვესტიციებზეა საუბარი? მათ შორის, რა ოდენობის ინვესტიცია უნდა განხორციელდეს საქართველოში?

– „ახალი აბრეშუმის გზის“ დიდი პროექტის ერთი ნაწილია „ანაკლია პორტი“.



ირაკლი ღარიბაშვილი: მჯერა, რომ ანაკლიის პორტი იქნება ერთ- ერთი მთავარი სავიზიტო ბარათი საქართველოსთვის!

„საერთო გაზიტი“ რეგულარულად აწვდის დაინტერესებულ მკითხველს ინფორმაციებს ქართულ კონსორციუმში მიმდინარე, აქტუალურ საკითხებზე.

ჩვენი სტუმარია კონსორციუმის პრეზიდენტი ბატონი თეიშურაჲ ქარჩაჲა!

თ. ქარჩაჲა – მახსენდება, გასულ ზაფხულს, ზუგდიდში, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ადგილობრივი მოსახლეობისადმი მიმართვა:

„...ანაკლიის პორტი იქნება ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი უმოკლესი გზა და ევროპა-აზიას შორის სავაჭრო ტვირთბრუნვის ზრდის გათვალისწინებით, დიდ სარგებელს მოუტანს ყველას...“

– მჯერა, რომ ანაკლიის პორტი იქნება ერთ-ერთი მთავარი სავიზიტო ბარათი საქართველოსთვის!

ნებისმიერ ინვესტორს, დაინტერესებულ კომპანიას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზემოთნახსენები სიტყვები პასუხისმგებლობას უორმაგებს, რადგან, აქ მართლ წარმატებულ ბიზნესზე არ არის საუბარი, არამედ,

ბუთები 15 ოქტომბერს შევიტანეთ, მაგრამ ჩვენ ერთი დღეც არ გაგჩერებულვართ.

– ვიცით, რომ ორი კვირაა უცხოეთში იმყოფებით. რას გვეტყვით საინტერესოს?

– ორი კვირა კი არა, 10 წელია, ამ პროექტთან დაკავშირებით, სანახევროდ უცხოეთში მიწვევს ყოფნა. მსგავსი მეგაპროექტების დაფინანსების მომზადებას წლები სჭირდება. ცხადია, ჩვენი პროექტი გამონაკლისი არ არის!

– მე, როდესაც, გაბედულად ვაცხადებ, – ჩვენს კონსორციუმს შეუძლია „ანაკლია პორტი“-ს პროექტის დაფინანსება, ამის უფლებას მაძლევს ის გავლილი 10 წელიწადი, რომელიც პარტნიორების მოძიებას და შერჩევას, ქვეყნის სტაბილურობასა და პროექტის რენტაბელურობაში მათ დარწმუნებას დასჭირდა.

ახლა, კონკრეტულად, ბოლო ვიზიტებზე მოგიყვებით: როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემი შეხვედრები, – დუბაიში, ჰონკონგსა და პეკინში ჩვენი კონსორციუმის წევრებთან, წარმატებული გამოდგა. უფრო მეტიც, იმაზე მეტი გადაწყდა და დაიგეგმა, ვიდრე მოველოდი.

ერთი, უმდიდრესი ჰიდრო რესურსების მქონე ქვეყანაა, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რაც, ბუნებრივია, არც ჩვენი პარტნიორებისთვისაა უცხო. თუ, ჩვენი ადრინდელი შეხვედრებისას, რომელიც 10 წელზე მეტია გრძელდება, ძირითადი ყურადღება „ანაკლია პორტის“ მშენებლობასა და მისი დაფინანსების წყაროების მოძიებას ეთმობოდა. ბოლო ორი კვირის განმავლობაში, იგი სხვა მიმართულებით,





პროექტის მთლიანი ღირებულება ოცდაათ მილიარდ დოლარს აღწერს. აქედან საქართველოში განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობა ათ მილიარდ დოლარზე მეტი იქნება. ეს არის დიდი პროექტის პირველი ეტაპი, რომელიც მოიცავს ანაკლიაში პორტის მშენებლობას და მასში შემავალ ინფრასტრუქტურას, – ახალ დასახლებას 20-25 ათას მაცხოვრებლით, საერთაშორისო სტანდარტის სატვირთო აეროპორტით, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებით, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის პროექტებით დამთავრებული. მკითხველს შევახსენებთ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანია, „ჩაინაპაუერი“ ჩვენი „ANAKLIA PORT & INDUSTRIAL ECO PARK CONSORTIUM“-ის წევრია და, ასევე, ჩვენი პროექტის ძირითადი დამფინანსებელია, ინგლისურ „ბრიტიშ ეკოპაუერთან“ ერთად.



中国电建 POWERCHINA

„ჩაინაპაუერი“-ს პრეზიდენტი, ჩინეთის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილეა, რაც სახელმწიფოს მხრიდან დიდი ნდობის გარანტიაა!

– როგორც გავივით, გარდა „ანაკლია პორტი“-ს პროექტის დაფინანსებისა, ბევრი სხვა საინტერესო საკითხებიც წამოჭრილა, რომელიც კიდევ უფრო დაახლოებს ვეროპასს და აზიას. საქართველო კი, ისევ მოვლენების ცენტრში იქნება!

– ჩვენი, ჩინელი და ინგლისელი პარტნიორების ინიციატივით, შემოთავაზებულ იქნა, ქართულ, ჩინურ და ინგლისურ ენებზე, სამეცნიერო გაზეთის „ახალი აბრეშუმის გზის, ეკონომიკური მიმობნილველის“ დაფუძნება და გამოშვება, რაც საუკუნის პროექტის „ახალი აბრეშუმის გზის“ მშენებლობას და ბიზნეს შესაძლებლობებს გააშუქებს, დაინტერესებულ ბიზნეს-

ჯგუფებს და საინვესტიციო კომპანიებს გააცნობს ვერაზიის დერეფანში მდებარე ქვეყნების შესაძლებლობებს და წარმოაჩენს ამ ქვეყნებში არსებულ საინტერესო საინვესტიციო პროექტებს. მოიძიებს მათი დაფინანსების გზებს.

ასევე, საინტერესო და საგანგებოდ მნიშვნელოვანია, ჩინური მხარის მიერ შემოთავაზებული „კონფუციის ინსტიტუტი“-ს დაარსება საქართველოში და მისი დაფინანსება. იგი, არა მარტო ჩინური კულტურის, არამედ, ქართულთან ერთად, ევრაზიული კულტურის ცენტრი უნდა გახდეს!

კონფუციის პირველი ინსტიტუტი გაიხსნა 2004 წლის 21 ნოემბერს კორეის რესპუბლიკის დედაქალაქ სეულში. 2010 წლის მონაცემებით მსოფლიოს 96 ქვეყანასა და რეგიონში ფუნქციონირებდა კონფუციის 322 ინსტიტუტი და 369 კლასი, დარეგისტრირებულ მსმენელთა რაოდენობა კი შეადგენდა 360 ათასს. „ხანბან“-ის კვლევებით მსოფ-

ლიოში 40 მილიონზე მეტი ადამიანი სწავლობს ჩინურ ენას. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შეფასებით ჩინური ენის შემსწავლელ უცხოელთა რაოდენობას 2010 წლისათვის უნდა მიეღწია 100 მილიონისათვის. 2020 წლამდე „ხანბან“-ი გეგმავს კონფუციის ინსტიტუტების რაოდენობის 1000-მდე გაზრდას.

– როგორც ვხედავთ, თუ „ანაკლია პორტი“-ს პროექტის განხორციელების უფლება ქართულმა „ANAKLIA PORT & INDUSTRIAL ECO PARK CONSORTIUM“-მა მოიპოვა, საქართველოც მალე ჩადგება იმ ქვეყნების რიგში, რომლებიც კარგა ხანია ჩართული არიან მსოფლიო მნიშვნელობის პროექტებსა და მოვლენებში, სადაც, – სახელმწიფო აღმშენებლობა და ხალხის კეთილდღეობა არის უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი!

დავით ქობალია
593 51 01 71

„მე რა ვქნა, მე? რუსეთში ნავიღაე... აბერიკაში...“ – და ნავიღა აბერიკაში



– „მე რა ვქნა, მე?! საით წავიდე, ამერიკაში... რუსეთში...“ – თავის დროზე ოხვრასავით აღმოხდა ირაკლი ალასანიას.

რანაირად უნდა ყოფილიყო იმ კაცის საქმე კარგად, რომელიც ასეთი ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო არჩევანის წინაშე იდგა?

გავიხსენოთ, როგორ იცვლიდა პოლიტმეხედულებებს სიტუაციის მიხედვით ბატონი ალასანია.

ირაკლი ალასანია (21.09 2011წ): – „ჩვენი ეროვნული ინტერესების უმთავრესი პრიორიტეტი რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებაა. სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკებზე აქცენტების გაკეთებისგან თავი უნდა შევიკავოთ. სწორი პოლიტიკური აქცენტებითა და რეალისტური პოლიტიკით, დარწმუნებული ვარ, შევძლებთ დიალოგის აღდგენას აფხაზეთან, ოსებთან, შემდგომ უკვე პოლიტიკური ურთიერთობის აღდგენას რუსეთთან.“

ირაკლი ალასანია (2013 წ): – „ჩვენი კონფლიქტი, ალბათ, ძალიან მტკივნეულად კიდევ დიდხანს დარჩება ორ ქვეყანას შორის უდიდეს პრობლემად, ვიდრე რუსეთის ფედერაცია არ მივა დასკვნამდე, რომ მათ მოუწევთ აღიარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა, ვიდრე საოკუპაციო ჯარები საქართველოს არ დატოვებს. თავდაცვის სამინისტრო ვაგრძელებთ NATO-ს სტანდარტებთან მიახლოებას და საბოლოო ჯამში მასში გაწევრიანებას წინ ვერაფერი დაუდგება.“

რა გამოდის – იმ დროს, როდესაც ალასანია ვიღაცას შესტიროდა, მე რა ვქნაო, ივანიშვილს რომ თავდაცვის მინისტრობა არ ებოძა, იგორ გიორგაძის ნათელი ალასანია შეიძლება რუსეთში აღმოჩენილიყო ნათლასთან, მაგრამ გაუღიმა ფორტუნამ და... ოდნავ გადავინაცვლოთ წარსულში – სხვათაშორის,

პანკისის ხეობა რომ იყო „მოდაში“, ბევრი რამ ითქვა და იწერებოდა მედიაში, მათ შორის ისიც, რომ პანკისის ხეობასთან დაკავშირებულ კრიმინალურ ამბებს შესაბამისი პასუხისმგებლობით არ ექცეოდნენ ძალოვანი უწყებები, რადგან თვით იყვნენ ჩართული მიმდინარე პროცესებში და ბევრი გვარი სახელდებოდა, მათ შორის, იმ დროისათვის „ვინმე“ ვიღაცეებისა („მასტერა“), რომელიც თითქოსდა ალასანიას (უშიშროების მინისტრის მოადგილე) დავალებებს უშუალოდ ასრულებდა...

კვლავ სხვათაშორის – მიუხედავად იმისა, რომ „გარდების რეკოლუციისთვის“ ალასანია სააკაშვილის ბანაკში იყო გადაბარებული, სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე მოიშორა თავიდან. ვინ ახსნის ამ ამბავს, რატომ მოიშორა ამერიკელების „კაცმა“ სააკაშვილმა ამერიკელების კადრი, ირაკლი ალასანია?



ლევან გიქალაძე

არ იტყვიან და ნუ იტყვიან, საქართველო იმდენად პატარაა, ყველამ ყველაფერი იცის ყველას შესახებ, მითუმეტეს, თუ ის „ყველა“ ყველგან არის, თუმცა ერთი რამ კი მართლაც საკითხავია: კაცს,

რომელსაც სააკაშვილი არ ენდო, მას ღალატი შეუძლია და კრიზისულ ვითარებაში გვიღალატებსო, ქვეყნის თავდაცვა როგორ უნდა ჩააბარო?

ირაკლი ოქრუაშვილი ჯანმრთელი, საღსალამათი და გამართლებულია – მიუხედავად უუმური ხასიათისა, ეგებ მას მაინც გაეცა კითხვაზე პასუხი: – რატომ გააძევა „ლამაზად“ (დიპლომატიური სამსახურის გაგრძელება ქვეყნიდან შორს, ქვეყანასთან შეუხებლად) საქართველოდან ირაკლი ალასანია? რატომ იყვნენ დარწმუნებული „მაშალი ნაციონალები“, რომ ალასანია რუსეთთან კონტაქტს ინარჩუნებდა? ტყუილია, რომ ალასანია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მიმართულ ურთიერთობებში მსოფლიო ლობირებდა, რომელიც რუსეთის ინტერესებში შედიოდა?

კოლორის დამცველი ემზარ კვიციანი წლებია ერთდერთი შეკითხვით მიმართავს ირაკლი ალასანიას: – მიპასუხოს ალასანიამ, რატომ ჩააბარა კოლორიო? იმ კაცის კითხვაზე მაინც გააცემინოს ვინმემ პასუხი „თავისუფალ დემოკრატ“ ალასანიას!.. (გაერო-ში იყო კაცი ირაკლი ალასანიას სახით, რომელმაც კოლორი ჩასაბარებლად მოამზადა. სააკაშვილის მტავრობას ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე ჰქონდა რუსეთისთვის პირობა მიცემული, რომ კოლორს ჩააბარებდა და შეასრულა კიდევ – ამონარიდი ემზარ კვიციანის

ამასწინათ წერილი მივიღე ზუგდიდიდან. დიდი ინტერესით გავხსენი კონკრეტი და კითხვას შევუღე-ქი:

—სადაცაა, ეს წელიც მალე მიიღება თავისი დარდით და სიხარულით, უკმაყოფილოც ბევრი იქნება და კმაყოფილიც, ბევრი, წელს გასაკეთებელი საქმე მომავალი წლისთვის გადაიდება!..

ეს ყველაფერი ბუნებრივია, მაგრამ, — ჩვენს მიერ არჩეულ მთავრობას „შემოდგომაზე დასათვლელ წიწილებს“ ნაც-ტურები და ნაც-მელაკუდები რომ უთვლიან, — ეს როგორ გავიგოთ?!

—ორი წლის წინ, არჩევნებზე მისვლა ჩემთვის არავის დაუძალბია, როგორც ეს წინა წლებში ხდებოდა. მე თვითონ მივედი და ავირჩიე ის, ვინაც ქვეყანა იხსნა და უფსკრულის

სამეგრელოში დიდი აღმშენებლობის ხანა დაიწყო

პატივცემულო ხელისუფლებავ, თქვენს მიერ მოშენებულ, „შემოდგომაზე დასათვლელ წიწილებს“ ნაც-ტურებსა და ნაც-მელაკუდებს ნუ ათვლევინებთ!

—უსამართლობასთან მებრძოლი ზუგდიდელის მიერ დაწერილმა წერილმა, გასულ მაისს, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის ზუგდიდში ჩამოსვლა

ბიზნეს-ფორუმზე, სამეგრელო ზემო სენეთის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი, ბატონი ლევან შონია გაეცანი. შესანიშნავად ორგანიზებული საერთაშორისო ღონისძიება, ჯგეროვნად გაშუქდა „საერთო გაზეში“. მაშინ შევთანხმდით, რომ ვრცელ მასალას მოვაშა-დებდი რეგიონის შესახებ. რამდენჯერმე ჩავედი კიდევ ზუგდიდში, ბატონ ლევანსაც შევხვდი, მაგრამ ინტერვიუს ჩაწერა მაინც ვერ მოვახერხე: „ნუ ვიჩქარებთ, ცოტაც დავიცადოთ!“ იყო ბატონი გუბერნატორის თხოვნა!

—სტატიის დასაწყისში ხსენებულმა წერილმა არა მარტო გადამაწყვეტინა ამ საქმის დაჩქარება, თვალნათლივ დამანახა, — თავმდაბლობა ყოველთვის როდია მოსაწონი საქციელი, მით უმეტეს, როცა ე.წ. „ნაციონალები“ გყავს ოპონენტებად!

ასე შევუღექი მასალების დამოუკიდებლად მოპოვებას. ქვემოთ წარმოგიდგინთ სამეგრელო-ზემო სვანეთში შესრულებული პროექტების არასრულ ნუსხას:

1. ფოთში თევზის გადამამუშავებელი ქარხანა „გეოფიშ ფექტორი“ გაიხსნა. გაფართოება-გადაიარაღების შემდეგ, რაშიც 2 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განხორციელდა, ქარხნის წარმადობა დღე-ღამეში 350-დან 1200 ტონამდე გაიზარდა. ქარხანაში იწარმოება თევზის ზეთი და თევზის ფქვილი, რო-

მელიც ნედლი ქაფშიის გადა-მუშავების შედეგად მიიღება.

2. გაიხსნა „ფოთის მარცვლეულის ტერმინალი“. შპს „აგრიკომის“ „ფოთის მარცვლეულის ტერმინალის“ მშენებლობისთვის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის ფარგლებში 600.000 აშშ დოლარი გამოიყო. პროექტის მთლიანი ღირებულება 2 მლნ აშშ დოლარამდეა. ტერმინალს, რომლის ჯამური მოცულობა 16.000 ტონას შეადგენს, საშუალება ექნება, მიიღოს-დაასაწყობოს-გააშროს-გასცეს სხვადასხვა სახის მარცვლეული, ძირითადად - ხორბალი და სიმინდი.

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მაღალტექნოლოგიური სამედიცინო კლინიკის მშენებლობა დაიწყო. კლინიკის მშენებლობას საფუძველი მიმდინარე წლის 25 აგვისტოს ჩაეყარა და მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაესწრო. პროექტის ღირებულება

40 მილიონ ლარს აჭარბებს.

4. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო დევნილთათვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, ზუგდიდში, 10 ახალი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობას ახორციელებს. დევნილთა კორპუსების მშენებლობაზე 200 პირი დასაქმდა. აქედან, 150 ადგილობრივი მოსახლეა, ხოლო 50-იძულებით გადაადგილებული პირი. პროექტი გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება და მისი საერთო ღირებულება 10.339.000 ლარს შეადგენს.

5. საქართველოს მასშტაბით 82 ახალი ამბულატორიის მშენებლობის პროექტის ფარგლებში სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 9 ახალი სამედიცინო ამბულატორიის მშენებლობა დასრულდა. 82 სამედიცინო ამბულატორიის მშენ-



ლევან შონია

პირას მდგარი გადაჩვენას გადაარჩინა!

რატომ აძლევს ქვეყნის ხელისუფლება ჩემი არჩევანის გინების უფლებას ნაც-კრიმინალებს? რატომ არღვევენ ჩემს უფლებებს?

ყოფილი ხელისუფლების წევრები, დღევანდელს იმას აბრალებენ, რასაც თვითონ ჩადიდნენ, დღევანდელის მიერ გაკეთებულს, თავისად მიიწერენ!..

—რა ხდება ბატონებო?

ყოფილი ხელისუფლება, წარმოებების ნაცვლად ბანერების გახსნას გვაზიებდა და გვატყვევებდა!

დღევანდელი კი, იმის ჩვენებას ვერ ახერხებს, რაც გააკეთა და კარგადაც გააკეთა!!!

—რა ხდება ბატონებო???

და მოსახლეობასთან შეხვედრაზე წარმოთქმული სიტყვა გამახსენა:

„...ყველაზე მეტი ტკივილი, ყველაზე მეტი გაჭირვება და პრობლემები სწორედ სამეგრელოს დაატყდა თავს. აქ გაიარა ყველა უსამართლობამ, ყველაზე მეტად სამეგრელო დაიჩაგრა. კარგად ვიცი, რა ტრაგედია გამოიარა სამეგრელომ 90-იან წლებში — უამრავი სისასტიკე, უამრავი ძალადობა მოხდა აქ... თქვენ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეგრელებმა ამ განსაცდელსაც ღირსეულად გაუძელით, მაღლობა მინდა გადაგიხადოთ ამ გამძლეობისათვის და სიმტკიცისათვის.“

—მიმდინარე წლის აპრილში, ანაკლიაში ჩატარებულ



ირაკლი ღარიბაშვილი: რუსეთ-აფხაზეთის ე.წ. ხელშეკრულება ძალიან შავაფორთიანია

ძალიან სამწუხაროა, რომ რუსეთმა ამგვარი ქმედებით უპასუხა ჩვენს კონსტრუქციულ პოლიტიკას. ამის შესახებ დიდ ბრიტანეთში სამუშაო ვიზიტად მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა რუსეთსა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას შორის ეწეულ ხელშეკრულების გაფორმების შეფასებისას განაცხადა. პრემიერმა მომხდარი დეგმო და განაცხადა, რომ ე.წ. ხელშეკრულება მისთვის ძალიან შემაშფოთებელია. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებისა და რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით არაერთი კონსტრუქციული ნაბიჯი გადადგა. ასევე გააძლიერა ქვეყნის უსაფრთხოება. ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, მისი ვიზიტის შესაბამისად, საქართველოს საგარეო უწყება მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს გამოიყენებს და საერთაშორისო თანამეგობრობას საქმის კურსში ჩააყენებს. „ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია. მოსკოვის მხრიდან კიდევ ერთხელ მოხდა დემონსტრირება, რომ მათ, როგორც ჩანს, რეალურად არ სურთ პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესება. რაც შეეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, ეს ცალკე საკითხია. ჩვენ ეკონომიკურ ურთიერთობებს არ ვეხებით“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.



←

ნებლობისათვის საქართველოს მთავრობამ 2 მილიონ 400 ათასი ლარი გამოყო. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის ამბულატორიების ადაპტირების მიზნით კი მთავრობის განკარგულებით 2014 წელს დამატებით 24.300 ლარი გამოიყო. ასევე, ჯანდაცვის სამინისტრომ ამბულატორიებში ავეჯის შესატანად და პირველადი ჯანდაცვის ობიექტებისათვის საჭირო სამედიცინო ტექნიკით აღჭურვაში 362 894 ლარი დახარჯა.

6. სამეგრელოში, ნოქალაქევი-ლემბაძე-დიდი ჭყონის 17 კილომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დასრულდა. საავტომობილო გზაზე ერთი ახალი ხიდი აშენდა, ხოლო ერთს რეაბილიტაცია ჩატარდა. აღნიშნული მონაკვეთი 5 სოფელს - ნოქალაქევის, ნახურცილას, ლემბაძეს, თამაკონსა და დიდ ჭყონს ადმინისტრაციულ ცენტრთან აკავშირებს. პროექტი მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა, რომლის, ღირებულებამ, დაახლოებით, 7 მილიონი ლარი შეადგინა. სამუშაოებზე 400-მდე პირი იყო დასაქმებული.

ამავე საგზაო მონაკვეთზე, დამატებით, 6 კილომეტრიანი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებიც დაიწყო.

7. ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ შავგელეში სამედიცინო ამბულატორიის ახალი შენობა გაიხსნა. ამბულატორიის გარე საინჟინრო კომუნიკაციების სამუშაოები შპს „სახელმშენა“ შეასრულა და მისი ღირებულება 18.331 ლარს შეადგენს.

8. სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრმა ზუგდი-

დის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს დღეს სრული აპარატურით აღჭურვილი „ფორდის“-ის მარკის ოთხი ახალი ავტომობილი გადასცა. წლის ბოლომდე დაემატება ორი მაღალი გამავლობის თანამედროვე ავტომობილიც. მთლიანად რეგიონში გათვალისწინებულია 30 მსგავსი ავტომობილის შემოყვანა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ავტოპარკის განახლება 29 ოქტომბერს დაიწყო და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრს 24 ახალი მანქანა გადასცა. ღონისძიებას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით შავლიაშვილი დაესწრო. სახელმწიფომ, ავტოპარკის განახლების მიზნით, **საერთო ჯამში 11 მილიონამდე ლარი გამოყო.**

9. ზუგდიდში, ყოფილი ფაიფურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე, არასამთავრობო ორგანიზაცია **USAID**-ისა და **□□□**-ის მხარდაჭერით, აგროსახლი გაიხსნა. აგროსახლში არსებული ვეტერინარული

კლინიკა ფერმერებს ხელსაწყოების განაყოფიერების მომსახურებასაც სთავაზობს. **USAID/NEO**-ს წარმომადგენლების განცხადებით, უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ფერმერებს საშუალება ჰქონდათ ორგანიზაციის მხარდაჭერით, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით ეწარმოებინათ კენკროვანი ხილი, ბოსტნეული და თაფლი. რეგიონში ჩამოყალიბდა 23 სასათბურე სადემონსტრაციო ნაკვეთი. შეიქმნა საქონლის ფურაჟის საწარმო.

10. მარტვილის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბალდაში, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობს მამათა მონასტერთან მისასვლელი 5-კილომეტრიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. **პროექტის ღირებულება 2.061.520 ლარს შეადგენს.** გზის მშენებლობა 2014 წლის 6 მაისს დაიწყო და რამდენიმე დღეში დასრულდება. პროექტს სს „არქეოპოლისი“ ახორციელებს.

11. სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში საკონფერენციო დარბაზის რეკონსტრუქცია დასრულდა. თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი დარბაზი 102 ადამიანზეა გათვლილი. უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით მოეწყო ასევე „მედიათეკის“, ადმინისტრაციის, შეხვედრებისა და სამუშაო ოთახები. **პროექტი „რეგიონში განსახორციელებელი პროექტების“ ფონდიდან დაფინანსდა და მისი ღირებულება 985 688 ათას ლარს შეადგენს.**

12. ფოთში სანიაღვრე არ-

სების რეაბილიტაცია 37 ქუჩაზე მიმდინარეობს. ამ ეტაპზე სამუშაოები დანელიას, პალიასტომის, ჩიტაძისა და ბარამიძის ქუჩებზე სრულდება. არხების საერთო სიგრძე 30 კილომეტრია.

13. 2014 წლის სექტემბერში სენაკში „მუნიციპალური განვითარების ფონდის“ დაფინანსებით წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტით გათვალისწინებულია დაახლოებით 20კმ სიგრძის მაგისტრალური ქსელისა და არსებული 800 მ3 მოცულობის წყალშემკრები რეზერვუარის რეაბილიტაცია. ასევე აშენდება 1000 მ3 რეზერვუარი. **პროექტის ღირებულება 4,5 მლნ ლარს შეადგენს.**



სამუშაოთა დასრულების შემდეგ ქალაქის 20 ათასი მოსახლე უზრუნველყოფილი იქნება 24 საათიანი წყალმომარაგებით. რეაბილიტაციის პროექტს შპს „ინ-სი“ ახორციელებს.

14. მარტვილის ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ 621.000 ლარი გა-

მოიყო. 1500-ადგილიანი საფეხბურთო სტადიონი ფუნქციონირებას ოქტომბრის ბოლოს დაიწყო. მშენებარე სტადიონი სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა, ლევან ფიფანმა 25 სექტემბერს დაათვალიერა. სამუშაოებს შპს „ტოტალი“ ასრულებს.

–შესრულებულ სამუშაოებს რომ გადაეხედო, თვალს არ დაუფერე და კიდევ ერხელ გადაამოწმე მათი ნამდვილობა!

კიდევ ერთხელ დამიდასტურეს, რომ, არცერთი დაწყებული პროექტი არ შეჩერებულა, კომპენტენტური ექსპერტების დასკვნის გარეშე. არც, ახალი პროექტების დაწყებაში შეუშლიათ ხელი, რომელიმე ტენდერმოგებელი კომპანიისთვის,

თუმცა, პირდაპირ დასტურდებოდა ბევრი მათგანის საქმიანი წილნაყოფი ყოფილ ხელი-სუფლებასთან, რომელმაც 15 ნოემბრის სამარცხვინო აქცია მოაწყო თბილისში!

–ამდენი ფაქტების მოწმე, ჩემი ზუგდიდელი ნაცნობისა არ იყოს, ვერც მე ვმაღავ გაცოცხლდეს, – რატომ „ათვლევენ“ დღევანდელი ხელისუფლება, ნაცკრიბინალებს, „საშემოდგომო წიწილებს“, რომლის გამოჩეკაში, ხელის შეშლის გარდა, ნაცბანდას არანაირი წვლილი არ მიუძღვით?

დავით ქობალია
593 51 01 71

P.S. ექსკლუზიური ინტერვიუ, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულთან, ბატონ ლევან შონიასთან, კვლავ სამომავლოდ გადავდეთ, ცნობილი მოტივით, – „საუბარს საქმე სჯობს, რაც არ უნდა თქვან ნაც-კრიბინალებმა!“



გიორგი მარგველაშვილი: დოკუმენტი აფხაზეთს რუსეთის ნაწილად აქცევს



„ჩვენ უნდა გავიაზროთ ის, რომ ამ საკითხზე ადეკვატური პასუხის მიღების გარეშე რუსეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას მომავალი ექნება“.

საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ აფხაზეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის ე.წ. დოკუმენტი რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯია.

მისი თქმით, ეს ნაბიჯი ახალ გამოწვევას უქმნის საქართველოს.

„აფხაზეთის ანექსიისკენ გადადგმული ნაბიჯი სამხედრო, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში აერთიანებს დამოუკიდებელ საქართველოს ტერიტორიას და მას რუსეთის ნაწილად აქცევს. ხელშეკრულება არღვევს საერთაშორისო თანამეგობრობის ნორმებს. ჩვენ უნდა გავიაზროთ ის, რომ ამ საკითხზე ადეკვატური პასუხის მიღების გარეშე რუსეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას მომავალი ექნება“, – განაცხადა პრეზიდენტმა.

პატრიოტი

„საერთო გაზეთის“ ღამატივა

№41, ნოემბერი, 2014 წ.



უმაღურობის სინდრომი

რას ნიშნავს და საიდან მოდის ეს უმაღურობით გაჯერებული დასკვნა, რომ ბიძინა ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია?

საიდან მოდის და იქიდან მოდის, რომ ამის მთქმელი ადამიანი, ქართველი, საქართველოს შვილი, თვითონ არ თვლის თავის თავს ამ ქვეყნის განუყოფელ ნაწილად და საქართველოსთვის გაკეთებულ სიკეთეს პირადად მისთვის გაკეთებულ სიკეთედ არ მიიჩნევს.

ბოლო ხანებში ხშირად გაიგონებთ ასეთ ფრაზას: – რა გაგვიკეთა ბიძინა ივანიშვილმა? აბა, ერთი თქვით, რა გაგვიკეთა? ამ რიტორიკულ ტონალობაში დასმულ კითხვას კი პასუხსაც თვითონ მოაყოლებენ ხოლმე: რა გაგვიკეთა და არაფერი!

ამის მთქმელი ერთი და ორი რომ იყოს, კიდევ პო, მაგრამ როცა მსგავსი სისულელე ბევრისგან გესმის და ბევრჯერ გესმის, არ შეიძლება ამას წაუყრუო.

ბიძინა ივანიშვილს იმდენი სიკეთე აქვს ქვეყნისთვის გაკეთებული, ერთ კაცს კი არა ათი ათას კაცს ეყოფა თავის მოსაწონებლად და სამშობლოს წინაშე ვალის პირნათლად მოსახლეობდა.

ის, რაც ახლა ვთქვი, იმდენად ცნობილია ყველასთვის, იმდენად უდავოა, რომ ამის ათასმეერთედ თქმა თითქოს არც არის საჭირო.

რას ნიშნავს და საიდან მოდის ეს უმაღურობით გაჯერებული დასკვნა, რომ ბიძინა ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია?

საიდან მოდის და იქიდან მოდის, რომ ამის მთქმელი ადამიანი, ქართველი, საქართველოს შვილი, თვითონ არ თვლის თავის თავს ამ ქვეყნის განუყოფელ ნაწილად და საქართველოსთვის გაკეთებულ სიკეთეს პირადად მისთვის გაკეთებულ სიკეთედ არ მიიჩნევს.

აი, ეს ეგვიზმი, ეს სახიფათო ფაქტი საკუთარი თავის სამშობლოსგან განცალკევებულად წარმოჩენისა, ეს გაუცნობიერებელი სეპარატიზმი, პიროვნებასა და სახელმწიფოს შორის თვითონ პიროვნების მიერ გავლენილი მავთულხლართი, არის მიზეზთა მიზეზი ზემოთნახსენები იმ ფრაზის დაბადებისა.

ქვეყნისთვის გაკეთებული სიკეთე აუცილებლად გადანაწილდება მის თითოეულ მოქალაქეზე, ანუ აუცილებლად მოვა შენამდევ, ისე როგორც მზის სინათლე და სითბო, რომელიც ყველასია, მაგრამ იმავე დროს თითოეული ჩვენგანისაცაა.

ვისაც ამის გაგება და გაცნობიერება უჭირს, მას სწორად არ აქვს გაგებული თავისი როლი და ფუნქცია იმ ქვეყნის წინაშე, რომლის მოქალაქედაც თავის თავს თვლის.

სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა ბიძინა ივანიშვილს, როგორ შეიძლება მას დაუუკარგოთ, თუნდაც ის, რომ მან ქართველ ხალხთან ერთად, უსისხლოდ, მსხვერპლის გარეშე, შეუძლებელი შეძლო და „ნაცმოძრაობა“ დაამარცხა.

რომ არა ბიძინა ივანიშვილი, საქართველოში შეიძლებოდა ახალი სამოქალაქო ომი გაჩაღებულიყო, რაც ქართულ სახელმწიფოს საბოლოოდ შეიწირავდა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ქართველ მეცენატთა მიერ ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების სწავლა-განათლების დაფინანსებამ საზღვარგარეთის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში საქართველოს საშუალება მისცა დიდი ძნელებლობის ფაშს, საქართველოს გასაბჭოების პირველ ოცწლეულში და მის შემდგომ პერიოდშიც, ჰყოლოდა ბრწყინვალე ინტელიგენცია ყველა დარგში და ყველა სფეროში.

მაშინ ვაღებულმა სიკეთემ საქართველო იხსნა სულიერი და გონებრივი გაკოტრებისა და ბანკროტობისგან.


ის კი არა, საუკუნის წინათ ჩადებული ეს ინვესტიცია დღესაც მუშაობს და ქართული სახელმწიფო დღესაც მაშინ ჩაყრილ საძირკველზე დგას.

მოვიდა დრო და კომუნისტებმა ქართველ მეცენატებს პირწმინდად წაართვეს ყველაფერი – სახლი, ქონება, ფაბრიკა-ქარხნები, ოქრო-ვერცხლი, მაგრამ ერთადერთი, რისი წართმევა და წაგლეჯვა ვერ შესძლეს, ეს იყო ის ინტელექტუალური კაპიტალი, რაც ამ

ქველმოქმედმა ადამიანებმა ახალგაზრდების განათლების დაფინანსებით დაუტოვეს ქვეყანას.

სასიხარულოა, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებული აქცენტები როგორც ხელისუფლების, ასევე ბიძინა ივანიშვილის მხრიდან სწორედ განათლებაზე კეთდება...

დაბოლოს, ბიძინა ივანიშვილის მიერ გააკეთებული უამრავი საქმეა საკმაოდ აკლიან დიდხანს გააგრძელებს საქართველოს სულიერი თუ მატერიალური განვითარება, რომელსაც რაც უფრო მეტს სარჯავს, მით უფრო დიდი სარგებელით გიბრუნდება უკან...



ძვირფასო მეგობრებო, შემოგვიერთდით გაზეთ „პატრიოტის“ მეგობართა კლუბში. ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: 593 44 04 01; 597 93 93 79; (2) 14 40 19; (2) 34 28 97. რედაქციის მისამართი: თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ., 164, II სართ.

ჩვენი სტუმარია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ბიორგი ანჩაბაძე**:

– ბატონო გიორგი, ქართულ-აფხაზური კონფლიქტიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა, თუმცა სასიკეთო ძვრები, არცერთი ხელისუფლების პირობებში არ მოხდა. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო. ახლახან კი, რუსეთსა და აფხაზეთს შორის „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის“ შეთანხმების შესახებ დოკუმენტი მომზადდა. რა შეიძლება ამას მოჰყვებოდა და როგორ ფიქრობთ, რა მიზეზებია, რატომ ვერ წაიწია საქართველომ წინ აფხაზეთთან ურთიერთობის კუთხით?

– მე არაერთხელ განმიცხადებია საჯაროდ, რომ ჩვენში გაბატონებული აზრი, თითქოს აფხაზები რუსეთის მორჩილი მარიონეტები არიან, სიმართლეს არ შეესაბამება. თუმცა ცხადია, რომ რუსეთს აქვს გავლენის უძლიერესი ბერკეტები. ახლაც აფხაზებს უსიტყვოდ არ მიუღიათ რუსეთის წინადადებები და მათ რუსულ-აფხაზური ურთიერთობების თავისებური ხედვა დაუპირისპირეს. მთავარი ამ ხედვაში აფხაზეთის შიდაპოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნებაა, რასაც რუსული გეგმა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად მოახერხებენ აფხაზეთი თავისი პრინციპების დაცვას. მაგრამ საერთო სიტუაციას და ძალთა შეფარდებას თუ გაითვალისწინებთ, დაინახავთ, რომ მათი პოზიცია პატივისცემას იმსახურებს.

მთავრი მიზეზი, იმისა თუ რატომ ვერ წაიწია წინ საქართველომ აფხაზეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ვერ ვაფასებთ მათ როგორც ღირსეულ მოწინააღმდეგეებსა და პარტნიორებს მოლაპარაკებების დროს. ცალკეული შემთხვევები: “ჩვენი ძმები – აფხაზები და ოსები”, – საქმეს არ შეეღობა. 1992 წლის



ახლახან რუსეთის მიერ აფხაზეთის სუვერენიტეტის ხელყოფის ცდამ (თუ შეიძლება ასე ითქვას) ახალი სიტუაცია წარმოშვა. რუსეთის შემოთავაზება ერთნაირად მიუღებელი აღმოჩნდა როგორც აფხაზეთის, ისევე ქართველებისთვის (თუმცა სხვადასხ-

სეთთან შეერთების საკითხს და ა.შ. თვენახევრის შემდეგ კი 1992-ის აგვისტოში, როდესაც ქართული ჯარი აფხაზეთში შევიდა, რუსეთის ტელევიზია აჩვენებდა კადრებს, თუ როგორ იწვოდა სოხუმში სახლები, კომენტარი კი ასეთი იყო: «I ღი i ძე ყდუ იე ნე აი ნი მამა i i i აააააა იე i i ძე აეა ა ღი აა i i ე აბრეე». რატომ ასეთი განსხვავებული კომენტარები? განა ეს არ იყო იმის მაჩვენებელი, რომ რუსეთი მწვანე შუქს უნთებდა საქართველოს

ნო-ტერიტორიული ომები ატყდა. მათი მთავარი გამოწვევა მიზეზები ადგილობრივი პრობლები იყო, ხოლო რუსეთი თუ სხვა ძალები მხოლოდ იყენებდნენ შექმნილ მდგომარეობას.

რაც შეეხება დასავლეთის ალიანსის პოზიციას, ის თვლის, რომ მის ინტერესებშია საქართველომ აფხაზეთი შეინარჩუნოს. მე ვერ ვიტყვი, რომ კონფლიქტის თუნდაც რომელიმე ეტაპზე დასავლეთს არ სურდა პრობლემის მოგვარება. ამის დამადასტურებელი ფაქტები მე არ გამაჩნია.

კონფლიქტები აფხაზეთთან და ოსებთან ჩვენი სირსხვილის არის და ჩვენი ზრახვლიას

1993 წლის შემდეგ ქართული ხელისუფლება აფხაზეთის დაბრუნებას ძირითადად სხვისი ხელით ცდილობდა (შეგარდნადიან დროს თავდაპირველად რუსეთზე კეთდებოდა გათვლა, შემდეგ – დასავლეთზე). არ ყოფილა აფხაზეთთან საერთო ენის პოვნის თანმიმდევრული ცდები, არადა აფხაზური მხარე, სანამ ოფიციალურად გამოაცხადებდა დამოუკიდებლობას (1999 წლის ოქტომბერი), ელოდებოდა მათთვის მისაღებ წინადადებებს, საუბრობდა კონფედერაციის ან ფართო ფედერაციის მოდელზე. ქართული მხარე უგულვებელყოფდა ამ შემოთავაზებებს. აღსანიშნავია, რომ მხარდაჭერა მაინცდამაინც არც საერთაშორისო საზოგადოებრიობის მხრიდან წამოსულმა პროექტებმა მოიპოვეს (ბოდენის, შტაინმაიერის გეგმები). მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების ყველა პროექტი კომპრომისებს ითვალისწინებს, რაც ბუნებრივია. მხარეებმა უნდა დათმონ მოთხოვნების გარკვეული ნაწილი, რათა მათი შეხედულებ

ვა მიზეზების გამო). ამ ვითარებაში ქართულ მხარეს უნდა გაეკეთებინა ისეთი სვლა, რითაც აფხაზებსაც გაუმარტებდა ზურგს და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებშიც პოზიტიურ ცვლილებას შეიტანდა. მაგრამ ნაბიჯისათვის, რომელსაც გარკვეულწილად გარღვევის შეტანა შეეძლო კონფლიქტის მოგვარების გაჭიანურებულ პროცესში, ისევ მზად არ აღმოჩნდით.

– რას გვეტყვი აფხაზეთის ომში რუსეთის როლზე ან ზომ არ ჰქონდა დასავლეთის მხრიდან ადგილი მცდელობას, რათა კონფლიქტი არ მოგვარებულიყო?

– მოკლედ მოგახსენებთ იმ გარე ძალების შესახებ, რომლებიც ამ კონფლიქტში არიან ჩართულნი. შიდა დისკუსიაში, მითითება, მუდმივად რუსეთზე ხდება. კი ბატონო, რუსეთს აქვს დანაშაული, რასაც ვერაფერს დამალავს. ჯერ კიდევ, მე-19 საუკუნეში, როცა რუსული პოლიტიკის შედეგად აფხაზი ხალხის ნახევარზე მეტის აფხაზეთიდან გადასახლება მოხდა, კონფლიქტის წარმოსაშობად სათანადო პირობები შეიქმნა. უკვე ჩვენ დროს იყო 1992-1993 წლების ომი. იბადება კითხვა: ვინ უბიძგა მამინ ქართულ მხარეს აფხაზეთში ჯარების შეყვანისკენ? ცხადია რუსეთმა. მათ ზომ იარაღით მოამარაგეს მამინდელი ხელისუფლება. ვერ ხედებოდნენ ეს იარაღი რას მოხმარდებოდა? ან მათ მიერ გადმოცემული ტანკები საით წავიდოდნენ? მახსენდება როგორ აშუქებდნენ 1992 წლის ზაფხულში სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მიმდინარე სამხედრო კონფლიქტებს რუსეთის ტელეარხები. როდესაც ჯერ ქართული ჯარი ცხინვალს უტევედა, ლაპარაკობდნენ დაჭრილ და დახოცილ მშვიდობიან მოსახლეობაზე. რუსეთის უმაღლესი თანამდებობის პირები ღიად იმუქრებოდნენ, რომ თუ ქართველები არ შეწყვეტენ ცხინვალზე შეტევას, რუსეთის ავიაცია დაბომბავს მათ პოზიციებს, რუსეთის ხელისუფლება განიხილავს სამხრეთ ოსეთის რუ-



სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობას აფხაზეთში საომარი მოქმედებების გასაძლიერებლად? ომის მსვლელობის მანძილზეც ორივე დაპირისპირებული მხარე რუსეთის არსენალიდან მარაგდებოდა. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ყველაფრის რუსეთზე გადამრთლება არ არის სწორი. გაეზისნით, რას წარმოადგენდა იმ დროს რუსეთი. იგი იშლებოდა, საბჭოთა კავშირი დაინგრა. იმ პერიოდში რუსეთმა ყველა რესპუბლიკა გაუშვა და მარტო საქართველოსთვის მოიცალა? ამიტომ, არ მჯერა როცა 1992 წლის ამბებში რუსეთის რაღაც ერთიან სტრატეგიულ გეგმაზე საუბრობენ, თითქოს რუსეთმა გვაომა და ა.შ. საქართველო უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. თუ შენ თვითონ არ იყავი მოწადინებული ძალით გადაგეწვიტა პრობლემა, ვინ გაომბდა? რუსეთმა ომის დაწყებაში მხოლოდ ხელი შეგვიწყო. შესაძლოა, ელცინის რაღაცაში შეგარდნადიან მხარდაჭერა სჭირდებოდა. რუსმა გენერლებმა კი სამაგიერო გადაუხადეს შეგარდნაძეს საბჭოთა კავშირის დანგრევაში შეტანილი წვლილისათვის. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ რუსეთის ფედერაციის ბევრი ნაციონალური რესპუბლიკა აფხაზებს საკმაოდ გულწრფელად ეხმარებოდა, რადგან მათსავით მცირერიცხოვან ხალხს ხედავდა მათში. ყველაფერი ერთად რომ შეიკრიბა, მივიღეთ ეს სურათი. ასევე იყო სხვაგანაც, სადაც ეთ-

მაგრამ დასავლეთის პოლიტიკა ამ საკითხში არ არის პროდუქტიული, ვინაიდან იგი ძალიან ცალმხრივად უდგება საქმეს. განსაკუთრებით ამკარად ჩანდა ეს შეიარაღებული კონფლიქტის დასაწყისში, როდესაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა მისი შეჩერება, “საათის უკან დაბრუნება”. დასავლეთის ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლები თავდაპირველად ძალიან იოლად მიუდგნენ საკითხს. დაიკავეს ცალსახად ქართული მხარე, რითიც აფხაზებს რუსეთისაკენ უბიძგეს. პირველი დეკლარაციები, რომლებიც ჩვენში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესასწავლად ჩამოვიდნენ, ეყრდნობოდნენ მხოლოდ თბილისში მიღებულ ინფორმაციას. არადა, მე მოწმე ვარ, რომ აქ ძალზედ ცუდად იცნობდნენ აფხაზეთის სინამდვილეს. თანაც რამდენად ობიექტური იქნებოდა მათი მონათხრობი? შემდეგ გაერო, ეუთო მხოლოდ ქართველ დიპლომატებს უსმენდა. თქვენ ფიქრობთ ეს საქართველოსთვის კარგი იყო? მათ ქვეყანას დათვური სამსახური გაუწიეს. უკეთესი იქნებოდა თავიდანვე, კონფლიქტის დასაწყისში, დასავლეთის მომრიგებლის როლი ეკისრა, სადაც საჭიროა, ცოტა სიმკაცრე და პრინციპულობა გამოეჩინა, გამოეგზავნა სერიოზული კომისია, რომელიც ორივე მხარეს შეხედებოდა, მათ მოლაპარაკებების მაგიდასთან დასვადა და



თებერვალში საქართველოს მამინდელმა ხელისუფლებამ სერიოზული განხილვის გარეშე უკუაგლო არმინას წინადადება – “აფხაზეთის რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში”. არჩევანი გაკეთდა პრობლემის იარაღის ძალით გადაწყვეტაზე.

ბები ერთმანეთს დაუახლოვდეს. ქართული მხარე დათმობებისთვის მზად არ იყო (თუ რატომ, ეს ცალკე საუბრის თემაა). არადა დროთა ვითარებაში აფხაზეთა პოზიციებიც უფრო ხისტი გახდა. დრო, ამ შემთხვევაში, საქართველოს სასარგებლოდ არ მუშაობს.



საქართველოს დიასპორის სამინისტროს და „საერთო გაზეთის“ ერთობლივი პროექტი

გუჯი ამშუყედი – მსოფლიოს საუკეთესო ოქრომჭედები, რანდი და ოსტატი საქართველოდან



ბუჯი თავის სახელოსნოში

ჩვენი თანამემამულე გუჯი ამშუყედი 40 წელია საფრანგეთში ცხოვრობს. აღიარებული ხელოვანია და მას მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ, ბრენდად ქცეული სახელით – გუჯი.

„პარიზში დაიბადე 33 წლის ასაკში, რადგანაც მხოლოდ აქ მომეტა საშუალება, ჩემი შემოქმედება გარდასული ცივილიზაციებისთვის მიმეძენა და გადმომეტა ის ძველვარება, რომელსაც მათ ნაკვალევზე სიარულისას განვიციდი“.

როგორც ხელოვანი, პარიზში დაიბადა, მაგრამ ამჟვეყნად საქართველოში მოველინა, ბავშვობა ბათუმში გაატარა, სკოლა იქვე დაამთავრა. მამა – გიორგი ამშუყედი ექიმია იყო, რომელმაც სამედიცინო განათლება მეფის რუსეთში მიიღო; დედა – ხე-ტყეით მოვაჭრე კომერსანტის ქალიშვილი, რომელსაც მემკვიდრეობით მიღებული დიდი ქონება საბჭოთა ხელისუფლებამ წაართვა, მხოლოდ პაინინო და რამდენიმე ვერცხლის კოვზი დაუტოვა. ნინო კაკაბაძე ბათუმის რუსულ გიმნაზიაში ბოტანიკას, ზოოლოგიასა და ანატომიას ასწავლიდა.

„დღემ ვალში ვარ დედარემის წინაშე... საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელი იყო. მან შემარჩვია შრომას. მაშინ არაფერი იშოვებოდა და მოსწავლეებისთვის ექსპონატებს თვითონ აკეთებდა. მე ვეზმარებოდი. ამან ძალიან მიშველა. ჩემში ხელით მუშაობის უნარი განავითარა“.

დღემ გუჯი და მისი ძმა თბილისში ჩამოიყვანა და ქმრისგან მალულად მონათლა. შვილებს კახეთის მხსნელი გმირებისა და წმინდანებად შერაცხულთა სახელები შეურჩია: გუჯის – ელიზბარი, ნუკრის – შალვა.

ბავშვობიდანვე აინტერესებდა ხატვა, გამუდმებით ფანქარი ეჭირა ხელში და ხატავდა, დღემ კი, მისი სურვილის წინააღმდეგ, რატომღაც მუსიკალურ სკოლაში მიიყვანა. ათი წლის გუჯიმ, მუსიკალურის ნაცვ-

ლად, სამხატვრო სკოლაში დაიწყო სიარული ისე, რომ ოჯახში არ იცოდნენ. ქალბატონმა ნინომ ეს ამბავი შემთხვევით გაიგო, შვილი მუსიკალურ სკოლაში დააბრუნა, თუმცა მხატვრობის შესწავლის უფლებაც მისცა. გუჯიმ მოგვიანებით შეიტყო, რომ მუსიკალური სკოლა, რომელშიც სწავლობდა, აღრე მის პაპას ეკუთვნოდა, დედამისი კი ამის შესახებ, ისევე როგორც წარსულის სხვა ამბებზე, არ ლაპარაკობდა.

კიდევ ერთი მოგონება, რომელიც ამავე წლებს უკავშირდება: სამხატვრო სკოლის გვერდით პატარა სახელოსნოში ორი ღურგალი მუშაობდა, კუბოებს ამზადებდნენ. გუჯი მათი საქმიანობაც დაინტერესდა და როგორც კი დროს მოიხელთებდა, რამდენიმე საათს მათთან ატარებდა, უყურებდა, როგორ მუშაობდნენ. სხვადასხვანაირი ჩასასვენებლებს ამზადებდნენ: შეძლებულებისთვის – მდიდრულს, უბრალო ხალხისთვის – ჩვეულებრივს, იმის მიხედვით, რისი შემძლენი იყვნენ ჭირისუფლები.

გუჯიმ სკოლა ბათუმშივე დაამთავრა. თბილისში სამხატვრო აკადემიაში სურდა სწავლის გაგრძელება, მაგრამ როგორც თვითონ ამბობს, ქართველებმა გააძწარეს:

„სამი წლის განმავლობაში არ მიღებდნენ. სულ ხუთი ადგილი იყო. აქედან ერთი აფხაზეთისთვის იყო

განკუთვნილი, მეორე – აზერბაიჯანისთვის, რადგან იქ სამხატვრო უმაღლესი სასწავლებელი არ არსებობდა, ერთი ცეკას მიჰქონდა, ერთი პროფესორების ნათესავებს „ეკუთვნოდა“, დარჩენილი მეხუთე ადგილი კი იყიდებოდა. ჩემს შობობებს არც ფული ჰქონდათ და არც ისეთი ნაცნობები ჰყავდათ, რომ დამხმარებოდნენ. აკადემიაში თუ ვერ ჩავაბრუნებდი, საბჭოთა ჯარში უნდა მემსახურა, რაც ძალიან არ მინდოდა...“

რამდენი ათეული წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ 17 წლის ასაკში განცდილი გულსტკენა ვერ დაივიწყა. მესამე წელიწადს საღამოს განყოფილება გახსნეს და, როგორც იქნა, აკადემიაში ქანდაკების ფაკულტეტზე ჩაირიცხა. საღამოს ლექციებს ესწრებოდა, დღე მუშაობდა. აკადემიაში მისი უშუალო პედაგოგი შოთა მიქაბაძე იყო, ასწავლიდა მამა-შვილი მერაბიშვილები – ცნობილი მოქანდაკეები, ვასილ შუხაივი – ხატვის ბრწყინვალე პედაგოგი...

აკადემიაში სამი წელიწადი ისწავლა, დიპლომის აღება აქ ვერ შეძლო – მოსკოვში იძულებით წავიდა საცხოვრებლად. ამის მიზეზი გახდა ერთი უსიამოვნო ამბავი, რომელშიც მოულოდნელად გაეხვია. 1962 წელს მეგობრებმა ბათუმში ბინის დაქირავებაში დახმარება სთხოვეს. გუჯიმ არ იცოდა, რომ მათ უცხოეთში გაქცევა ჰქონდათ

გადაწყვეტილი. ისინი როგორღაც ბათუმის ნავსადგურში მდგარ უცხოურ გემთან მიცურდნენ, კაპიტანს თურქეთში გადაყვანა სთხოვეს. კაპიტანმა, რასაკვირველია, ეს ამბავი სათანადო ორგანოებს აცნობა, ახალგაზრდები დაიჭირეს და სამშობლოს ღალატისა და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით გაასამართლეს. პროცესზე გუჯი ამშუყედის გვარიც ახსენეს. გუჯის მამა მისი პაციენტის ოჯახის წევრმა, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელმა გააფრთხილა – ბათუმს გაარიდეთ, თორემ დაიჭერენ, როგორც დანაშაულის ხელშემწყობსო. ასე აღმოჩნდა მოსკოვში.

მოსკოვში

რუსეთის დედაქალაქში 11 წელიწადი მოუწია ცხოვრება. ყველას გვახსოვს, როგორი იყო იმ დროინდელი მოსკოვი – საბჭოთა „სამური“ ცხოვრების საჩვენებლად, ვიტრინებში ბლომად ელაგა ქათმები და სოსისები, მაგრამ ცვილისგან დამზადებული. მალაჩივში თუ რამე გამოჩნდებოდა, ისიც უხარისხო, მრავალსაათიან რიგში უნდა ჩამდგარიყო; ცხოვრობდა კომუნალურ ბინაში, რომელშიც რამდენიმე ოჯახს საერთო საბაზანი და სამზარეულო ჰქონდა.

ქალაქში ჩაწერა აუცილებელი იყო, სხვანაირად მუშაობის უფლებას ვერ მიიღებდა. ამიტომაც დასჭირდა ფიქტიური ქორწინება.

შუამდგომლობა გაუწია და მხატვართა კავშირის მოსკოვის სექციის ყველაზე ახალგაზრდა წევრად მიიღეს. 23 წლისამ ეკონომიკური მდგომარეობა და შემოქმედებითი პირობები გათმჯობესა და „იაპონურ ფუნჯებსა და ფანქრებზეც მიუწვდებოდა ხელი“.

გუჯი ამშუყედის ცხოვრებაში იყო ერთი შემთხვევა, რომელმაც განაპირობა მისი მომავალი საქმიანობის სპეციფიკა. მამა რომ გარდაეცვალა, ბათუმში ჩავიდა და იქ ორი თვე ღარჩა.

„ქალაქის მახლობლად შევხვდი სომებს და ბერძენ მეთუნეებებს, რომლებიც საილენძის ჭურჭელს ამზადებდნენ. ვთხოვე, ესწავლებინათ ეს ხელობა. თავიდან უნდობლად მიყურებდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც დამთანხმდნენ. სწორედ იქ შევისწავლე ეს საქმე – საილენძის გამოჭრვა, გამოჭრა, შედუღება. ისინი ისეთივე ხერხებით მუშაობდნენ, როგორიც 3-4 ათასი წლის წინანდელი კოლხეთის მკვიდრნი. არ ჰქონდათ სახაზავი, ყველაფერს თვალთა ზომავდნენ. ეს ძალიან გამომაღგა, სახაზავით მეც არასოდეს ვსარგებლობ“.

ლითონის ფორმად ქცევის ინტერესი მოსკოვშიც არ განელებია. საფუძვლიანად შეისწავლა კრემლის, მოსკოვის ისტორიული მუზეუმის, ერმიტაჟის ექსპონატები. სცადა ჭედური ტექნიკით დაემზადებინა საილენძის რამდენიმე თასი. მიხვდა, რომ მიაგნო ლითონისთვის ფორმის




ოქროს ხმო

მოსკოვში ყოფნისას გამოყენებითი ხელოვნების კომბინატში მუშაობდა – თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, სამრეწველო დიზაინით იყო დაკავებული. ძერწავდა საბავშვო სათამაშოებს – თვითმფრინავებს, გემებს, მანქანებს. ერთხელ მისი ნახატი შექმნილი საფერფლე შემთხვევით შვეიცარიაში აღმოჩინა. მოსკოვის ზარაფხანა უკვეთავდა რუს და უცხოელ მოღვაწეთა სამახსოვრო სამკერდე ნიშნების, მედლების ესკიზებს. მათ შორის იყო 1242 წლის ყინულოვანი ბრძოლისადმი მიძღვნილი სამახსოვრო მედალი, რომელზეც ამოწახნაგებული იყო ცნობილი სიტყვები: „ვინც მახვალს აიღებს, მახვოლითვე განიგმირება“. საინტერესო საშუალო არ იყო, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, გამოცდილება შეიძინა. რაც მთავარია, ზარაფხანის დირექციამ

მიცემის მეთოდს და ეს „აღმოჩენა“ მისი შემდგომი პროფესიული საქმიანობის, როგორც ოქრომჭედისა და მოქანდაკის შემოქმედების საფუძველი გახდა.

„მოსკოვში ცხოვრების გამოცდილება საფრანგეთში გამომაღგა. რუსეთში ბევრს ვმოგზაურობდი, მაინტერესებდა ვლადიმირის, სუზდალის, პერესლავის, დიდი როსტოვის არქიტექტურა. განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავდა მონღოლების პერიოდად შექმნილი არქიტექტურა, რომელიც ნოვგოროდსა და კიევიში შემორჩენილი“.

საბჭოთა კავშირში მისი ბოლო ნამუშევარი იყო ფილმ „რუსლან და ლიუდმილას“ მთავარი გმირისთვის დამზადებული მუხარაღი. ამის შემდეგ მალევე გაემგზავრა საფრანგეთში.



მომთაბარე

ისინი, ვინც ცხრა წლის განმავლობაში სწორედ ფარულ მოსმენებთან და ფარულ გადაღებებთან დაკავშირებულ კატასტროფულ მდგომარეობაზე ხმას არ იღებდნენ, ან სულაც ტაშს უკრავდნენ, დღეს ამტკვევლენ დიდი დემოკრატების სახელით და უარეს კატასტროფას ითხოვენ, თან ისე, თითქოს ვერ ხვდებოდნენ რას ითხოვენ, ჰგონიათ ხალხს თვალში ნაცარს შეაყრიან. შეაყრიდნენ კიდევ, მაგრამ ვერ გასდით ჩანაფიქრი... „გასაღები“ – ისე ამბობენ ამ სიტყვას, თითქოს მართლაც ნივთ გასაღებზე იყოს საუბარი, ვიღაც რომელიღაც კარის ღრუში შეჰყოფს და გაიღება რაღაც – სისტემაზე საუბარი, რომელიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს.

რაც შეეხება მობილურ ოპერატორებს – ნეტავ, რომელი წაიღებს უკან თავის სიტყვას, რომ არ სურს „გასაღები“, ვინ წავა გაკოტრებაზე, რომ „მოისურვოს“ ე. წ. გასაღების ფლობა?

ისედაც საეჭვო წარმოშობისა და საეჭვო წყაროებით დაფინანსებულ-წახალისებული არასამთავრობო ორგანიზაციები რომ შსს-ის პარალიზებას ცდილობენ, ნათელია, მაგრამ ქვეყნის პარალიზება რომ არის თავი და თავი, მათივე, თითქმის ყოველდღიური ტელე-გამოსვლებიდან ჩანს. სხვა რა შეიძლება იფიქროს ადამიანმა, როდესაც იმ დროს, როცა მართლა თავს იყავი და მამხობილი საქართველოს მოქალაქეების პატივი და ღირსება, ყველაფრის უფლება, თავისუფლება და სიცოცხლის უფლებაც კი, თბილად იხდნენ გასუსულები, დღეს კი ახალდროების „ტროიკად“ მოვლენილები, ხან პროკურორებად გვევლინებიან, ხან კანონშემოქმედებად ან აღმასრულებლებად, მათ გარეშე დღე არ დაღამებულა...

აღვნიშნეთ, რომ არც ერთ ქვეყანაში არ უყვართ შსს (მითუმეტეს, საქართველოში და მითუმეტეს სააკაშვილის შსს-ს შემდეგ) და არც მისი დიდი ნიღბა აქვს, მაგრამ ელემენტარულია, თუ ოდნავ მაინც ქართულად ფიქრობ, უცხო ქვეყანას არ მიცემ შენი ქვეყნის არანაირ „გასაღებს“!

მართალი თქვა პრემიერმა ღარიბაშვილმა: – „ექსპერიმენტების უფლება არ გვაქვს! არ ვიცო, რატომ ვართ იმაზე უფრო დემოკრატიული, ვიდრე არის საფრანგეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, ისრაელი ან ამერიკა!“

არ იცის პრემიერმა, მაგრამ იცის ყოვლისმცოდნე გახეთ „რეზონანსის“ მთავარ რედაქტორმა თუ ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესახებ კანონპროექტის შემფასებელი ექსპერტი თუ პრესისა და მა-

სობრივი საინფორმაციო საშუალებების შესახებ კანონპროექტის შემფასებელი-ექსპერტი ან ე.წ. „მოსმენების“ შესახებ კანონპროექტის შემფასებელი-ექსპერტი და ა.შ.) ლაშა ტულუშმა: – „თუ მოსმენების ფასაღები დარჩება შსს-ს, ეს ნიშნავს, რომ ვაგრძელებთ არადემოკრატიული გზებით სვლას. ასეთ შემთხვევაში უნდა ვთქვათ, რომ ქართულ

ლოს ნებართვის გარეშე მიყურადებას და მესამე – იმედი მაქვს, რომ ეს დისკუსია მალე მიიღებს კანონის ფორმატს და მე არ ვიქნები დაყენებული ისეთი ფორსმაჟორული სიტუაციის წინ, როგორც ვიყავი წინა შემთხვევაში.“

ამასობაში არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით იხუვლა „საია-ს“ (და ყველა საქმის)

მიერი შეურაცხყოფას აყენებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, როდესაც ევროპული ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციები თავიანთი ქვეყნის ძირგამომხრელ საქმიანობას არსად ეწვეიანო?

ნანა ბაგვა: – „გასაღები... ზოგმა უკვე მართლა დაკარგა ერთი ადგილის გასაღები... მობილური ოპერატორები

დაგას – თითქოს „მოსმენა“ სავალდებულოა, აუცილებლად ყველას უნდა უსმინონ და ახლა ისაა ასარჩევი, აშშ უნდა გვისმენდეს ყველას, რუსეთი, თურქეთი თუ საქართველოს შსს. თუნდაც მართლა ასე იღვას საკითხი, რომ მაინცდამაინც ვინმეს უნდა ჰქონდეს მოსმენებზე ტექნიკური წვდომა (ახსურდი!), რატომ უნდა იყოს ის ვიღაც უცხო ქვეყნის დაქვემდებარებაში არსებული მობილური ოპერატორი და არა კონკრეტული ქვეყნის ნებისმიერი უწყება? მუდმივად რომ სხვის მიმაძღველობაში არიან ქართველი ე.წ. „გენიოსები“, პრემიერის თქმისა არ იყოს, ერთი ქვეყანა მაინც დასახელონ მაგალითად, სადაც ე.წ. „მოსმენების გასაღები“ სხვა ქვეყნისთვის აქვთ გადაცემული... მერამდენად უნდა მოახდინონ მაღალი თანამდებობის ცალკეულმა პირებმა და ჯგუფებმა წარმოდგენილმა ადამიანებმა თვითლუსტრაცია, რომ ისინი საქართველოს კი არა, რომელიღაც სხვა ქვეყნის ინტერესების გამტარებლები არიან საქართველოში?

არადა, ამ კანონის მიღებაა საჭირო მხოლოდ და ქვეყანაში ყველაფერი დალაგდება და მოწესრიგდება. ვერც „ჩვენი მეგობრები“ ატეხენ წკმუტუნს, რადგან ზუსტად ასეთი კანონი, რომელიც უკრაინამ მიიღო და რომელიც 1 მილიონ

ადამიანს შეეხო, ევროპელმა და ამერიკელმა „დემოკრატებმა“ სულ ტაშ-ფანდურით მოიწონეს. ჰოდა, ყველანი ვინც ბერს ლაპარაკობენ და ბრტყელბრტყელ ფრაზებს ისვრიან, თუ თვითონ მაინც სუფთები არიან, გამოვიდნენ წინადადება, მიამონ ასე სათაყვანებელ მეგობარ უკრაინას და გამოალაგონ პრივატიზებული საჯარო სამსახურებიდან გასვრილები, ანდაზა გაიხსენონ, რომ ერთი ტალახიანი ღორი ასს სვრის...

უკრაინაში თუ ეს კანონი 1 მილიონ ადამიანს შეეხო, საქართველოში მხოლოდ რამდენიმე ერთეულ ათასს შეეხება და ქვეყანაც დალაგდება. დანარჩენ თანმდევ მოვლენებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჯერ მხოლოდ ის ბედნიერება რად ღირს, რომ გაცვეთილი და ათას უბედურებაზე გადამხტარი სახეები აღარ იდემოკრატები ტელეეკრანებიდან მათთან საეჭვო მეგობრობაში შემჩნეული ჟურნალისტების ხელშეწყობით...

რატომ უნდა იყოს მიუღებელი საქართველოს შემთხვევაში ის, რაც ოვაციებით მიიღეს უკრაინაში, ვინ რომელი ქვეყნის გავლენის (ან ორმაგი) აგენტია, იმის გამოიფერას ზომ არავინ ითხოვს (ისედაც ვიცით), უბრალოდ, დაისვენებს ქვეყანა...

ე.წ. „უბრალო ხალხი“, რა, შესცქერის უპატრონოდ დარჩენილი გასაღების გარშემო ატეხილ ხმაურს და იციანისადა „პრ...ჭის გასაღები მაინც დაგვიტოვეთ პირად საკუთრებაში...“

ე.წ. „მოსმენების გასაღებზე“ დისკუსია არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე პირთა ლუსტრაციის გასაღები გახდა

სახელმწიფოს დღეს არ აქვს უნარი, დაეიკაყოფილოთ ელემენტარული სტანდარტი და დავანებოთ თავი ევროპაზე საუბარს, მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენ შეგვიძლია და უნდა შევძლოთ...

მაინტერესებს, რა შეიცვალა, რამდენად დამაჯერებელი იყო შს სამინისტროსა თუ სხვა ძალადგან სტრუქტურის წარმომადგენლებისთვის ევროპული ექსპერტების რჩევები. ჩვენზე ამბობდნენ, რომ ჩვენ არ გვესმის საკითხი, ვნახოთ, რას იტყვიან იმ ექსპერტებზე, რომლებიც ქმნიან

თავმჯდომარე კახა კოჭორიძემ, პრემიერ-მინისტრმა შეურაცხყოფელი განცხადება გააკეთა ჩვენს მიმართ და ამას უკვე კვარტალში ერთხელ აკეთებო; პრემიერი ითხოვს, დაუხსნებოთ ქვეყანა, სადაც ჩვენს მიერ გასაღებებზე წარმოდგენილი მოდელი არსებობს. მე კი მას ვთხოვ, დამისახელოს რომელიმე ევროპული ქვეყანა, სადაც პრემიერ-მინისტრი შეურაცხყოფას აყენებს არასამთავრობო ორგანიზაციებს, იხსენებ, ფაქტობა



ე.წ. როპა-ში წესებს. ეს ადამიანები არიან ისინი, ვინც ქმნიან რეგულაციებს ამ საკითხთან მიმართებაში.“

„თავისუფალი დემოკრატები“ იმედოვნებენ, რომ თუ „სამი დეპუტატის პროექტი“ დამტკიცდება, პრეზიდენტი კიდევ ერთხელ გამოიყენებს „ვეტო-ს“ და ხარობენ...

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი: – „ორი მნიშვნელოვანი თემა არის განსახილველი: პირველი – კანონიერ მიყურადებას უნდა ანხორციელებდნენ ამ საქმის პროფესიონალები; მეორე – ნებისმიერი სქემა, რომელიც განიხილება, უნდა გამოირიცხავდეს სასამართ-

რი ვად, მოვალატეებად, ძირგამომხრელებად. კოჭორიძეს, ცხადია, მხარი აუბა ეკა გიგაურმა („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“) და ბუნებრივია, იგულისხმება, ლომჯვარიც.

პრემიერი უპასუხებს თუ არა კოჭორიძეს კითხვაზე, უცნობია, მაგრამ ხალხი ლოგიკურად ალაგებს: – ღარიბაშვილი როგორ დაასახელებს რომელიმე ევროპულ ქვეყანას სადაც პრე-

რატომ და როგორ უნდა უზრუნველყოფდნენ ქვეყნის უსაფრთხოებას? ან კი, როგორ უნდა აკონტროლებდნენ? ასე მგონია, შსს-ს მიერ მოწმენები სწორედ მათ არ აწყობთ, ვინც „ცულად ბუტბუტობს“ და არ აწყობს, დააჯდნენ კულზე! მობილურის ოპერატორებმა უნდა განსაზღვრონ ვინ ვინაა? დიახაც, უნდა მომისმინონ ძალოვნებმა და ვინც გამოსაჭენებელია, გამოაჭენონ! ზუსტად ვიცო, საგულდაგულოდ მოისმენენ პირად ჩვენი ოჯახის საუბრებს, მაგრამ „ქურდი არ ვარ ქული მეწვოდეს.“ მისმინონ, დიახაც!...

პაპ სხნიაშვილი: – „ვერ გავიგე, რითია უფრო სანთი და არგუმენტირებულად რითი საბუთდება, რომ რომელიმე ოპერატორი უფრო კეთილსინდისიერი იქნება ამ საკითხში, ვიდრე თუნდაც ძალოვანი, მაგრამ მაინც სახელმწიფო უწყება? სხვა თუ არაფერი, რაღაც სახელმწიფოებრივი თვითრეგულაცია მაინცაა უწყებაში, კერძო კომპანიაში ეს როგორ რეგულირდება, ახსნან ერთი!“

იონა გორდულაძე: – „მე არავინ მეკითხება, მაგრამ მაინც ვიტყვი – ჩემი აზრით, შსს-ს უნდა ჰქონდეს წვდომა ამ ე.წ. „გასაღებზე“ – დღევანდელი მდგომარეობით ქვეყნისთვის ასე სჯობს.“

ყველაზე დიდი უცნაურობა ის არის, რომ საქმე ამგვარად

თბილისის პროკურორის მიხეილ ქურდაძის გავლენის საქმი



ლავით გაზნიძე

ბეს სხენებული პისტოლეტი. თუ მას არ მოუკლავს, მაშ ვინ იყო მკვლეელი?

- დაკითხვისას მონასელიძემ „აღიარა“, რომ „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, მას ნაცნობმა **გიორგი რევიშვილმა** მიუტანა, რომლის ნათესავიც მონასელიძის მეზობელი იყო, რურუა მოკვლას არ ვაპირებდი, უბრალოდ მინდოდა მასთან შეხვედრისას იარაღით ვყოფილიყავიო.

ვლადიმერ გასვიანს ეჭვი ჰქონდა, რომ მას იარაღი („მაკაროვი“) **ნუკრი რურუა** მოჰპარა. მონასელიძემ შეიტყო, რომ რურუა ამ იარაღის „ნაგანში“ გაცვლა უნდოდა, დაუკავშირდა რურუას და მოატყუა, რომ მისი მეგობარი ცვლიდა „ნაგანს“ პისტოლეტში, რურუამ დაიჯერა და გაცვლა შესთავაზა. მონასელიძემ იგი დაიბარა და ამის შესახებ გასვიანებს შეატყობინა და რევიშვილსაც სთხოვა პისტოლეტის მიტანა. ხსენებული პირების გარდა მონასელიძესთან ვინმე მამუკა ომიძემ იყო მისული, რომელსაც იმავე სისტემის პისტოლეტი ჰქონდა. ყველანი საწოლ ოთახში შევიდნენ, რურუა კუთხეში ცალკე დამჯდარა, მას იარაღის ჩვენება სთხოვეს, ვლადიმერ გასვიანმა იცნო თავისი იარაღი და რურუას ესროლა რევიშვილის მიტანილი პისტოლეტიდან. როგორც ისინი ყვებოდნენ, თითქოს გასვიანმა ფეხებში ესროლა რურუას, ხოლო მონასელიძემ თითქოს იმავე იარაღის მთელი მჭიდი დაახალა. პისტოლეტის მჭიდში რვა ტყვია ეტყუა, რურუას კი

ზენტში გაახვიეს და სადარბაზოში ლიფტის უკან გადაშლეს, რადგან საღამოს მონასელიძის შშობლები უნდა დაბრუნებულიყვნენ, ისე სროლის ხმა მთელმა უბანმა გაიგო, მაგრამ, მოგეხსენებათ, მაშინ (1994 წლის იანვარი) რა ვითარება იყო, ხმის ამოდებას ვინ ვაბედავდა. როგორც კი დაღამდა გვაძი **მალხაზ ჯანაშიას** ავტომანქანაში ჩადეს და ლუდის ბარ „შატილთან“ (ვახუშტის ხიდის მიმდებარე ტერიტორია) მტკვარში გადაადგეს. რურუას ცხედარი მეორე დღეს მდინარეში იპოვეს.

სხვათა შორის, პოლიცია თავიდან ამ მკვლელობას ყოფილ პოლიციელ **გია თელიძეს** აბრალებდა, რომელმაც შემთხვევით გაიარა მონასელიძის სახლთან, როცა ხსენებულ ჯგუფს გვაძი სადარბაზოდან გამოჰქონდა. თელია გაჩერდა და ავტომანქანიდან გადმოვიდა, რურუა იცნო, მაგრამ არ გაამხილა. სულ ეს იყო, თუმცა პოლიციამ ვითომ მკვლეელი დაიჭირა, ერთი პერიოდი ის ამ საქმეზე ციხეშიც იჯდა, არადა მერე სულ სხვა პიროვნება დაეკავშირეთ. საერთოდაც თელია ყოველთვის თითიდან გამოწოვილი ბრალდებულის საფუძველზე იხდიდა სასჯელს. მონასელიძის ბინის ჩხრეკაზე ექსპერტს მეც გავყვევი, რომ არაფერი გამოპარვოდა. პარკეტზე სანთელი მოესხათ, ძნელი იყო ტყვიის პოვნა და ამოდება, გამახსენდა მონასელიძის ნათქვამი – რურუა კუთხეში იჯდაო, ამოვიჩქენე სანთელი და მართლაც ვიპოვე ტყვიის სამი გულა, რომელიც ასევე დაემთხვა ხსენებული პისტოლეტის

მწირი ინფორმაციით მოკვლელოში უნდა მოგვეძებნა რევიშვილი. ნოვოსიბირსკში მე და **მალხაზ ლუშაშვილი** მიგვაგვლინეს, ქარელის პოლიციიდან ერთი თანამშრომელი გამოგვაყოლეს, რადგან რევიშვილი წარმოშობით ქარელის რაიონიდან იყო. რევიშვილი უნდა მოგვეძებნა, დაგვეკავებინა

არ მოუციათ, ნახევრად მშვიდრები ვიყავით. სხვათა შორის, შს მინისტრმა **პასა თარგამაძემ** თავის ერთ-ერთ ინტერვიუშიც თქვა, ჩვენი ორი თანამშრომელი ციმბირში ცარიელ პურსა და წყალზე იყო, მე და მალხაზ ლუშაშვილს გვეულისხმობდა. ერთი სიტყვით, რევიშვილი



ვარგელეზო ინტერვიუების ციკლს პოლიციის ვიცე-პოლიკოვნიკ **ლავით გაზნიძესთან**, რომლის განცხადებითაც, „მხედრიონელ“ რურუას მკვლელობის გახსნის შემდეგ შეიტყო, რომ იმავე იარაღით იყო მოკვლეული პროკურორი **მიხეილ ქურდაძე**.

ლავით გაზნიძე: „ჩემს თანამშრომელს ამის შესახებ ჩვენი სამმართველოს უფროსმა გაუხსილა და გააფრთხილა, რომ ეს საქმე არ გავგვხმარებინა და საიდუმლოდ გვემუშავა. კაბინეტიდან გამოსვლისას სამმართველოს უფროსის მისთვის გაუძიარებია, საიდუმლოდ იმუშავებო, გამოიცხადებო არ არის, ამ მკვლელობაში პოლიციელის ხელი ერისო. დავით კეკუაძეც გაგვაფრთხილა, ძალიან ფრთხილად იყავით, მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმეში აშკარად პოლიციის თანამშრომლები ურევია, რაიმე გაუგებრობა რომ არ მოხდეს, კონსპირაციის ყველა წესი დაცვათ. სიმართლე გითხრათ, სახტად დავჩნი, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. არაერთი მიძიე კატეგორიის დანაშაული მქონდა გახსნილი, მაგრამ ამ კატეგორიის საქმე ჩემს პრაქტიკაში პირველად მქონდა. ერთი სიტყვით, როგორც **ილო გასვიანისგან** შევიტყვეთ, რურუას მკვლელობა **აპაპი მონასელიძის** სახლში (დიდუბეში) მოხდა და თითქოს მკვლეელი თავად მონასელიძე იყო. დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ მას არ მოუკლავს რურუა, უბრალოდ დაიბრალა, რადგან შინაგანად კეთილი ბიჭი იყო. იგი არ იყო ცუდი ადამიანი, მაშინდელმა ვითარებამ გააფუჭა, ისევე, როგორც ბევრი სხვა ახალგაზრდა. მონასელიძე ვიდაცებს იყო აყოლილი, ერთი პერიოდი „კანონიერი ქურდობაც“ უნდოდა, მეგობრობდა მძებ გასვიანებთან, როგორც გითხრათ ილო გასვიანის ძმა, ვლადიმერი „კანონიერი ქურდი“ იყო. ილო გასვიანის ჩვენების შემდეგ მონასელიძე დავაკავებო“.

- რატომ მოკლეს რურუა და საიდან ჰქონდა მონასელი-

ინხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

11 ტყვია ჰქონდა მოხვედრილი, ე.ი. ორი იარაღიდან ესროდნენ. ეს რომ ვუთხარი მონასელიძეს, მჭიდი გამოვცვალე და დანარჩენი ტყვიებიც მე ვესროლეო, რაც ძალზე ნაკლებად სარწმუნოა. ფაქტია, რომ შანთის ტაბელური იარაღით იყო მოკვლეული რურუა, მისი სხეულიდან ამოდებული ტყვიები დაემთხვა ამ იარაღის ტყვიებს. ესენი კი ამბობდნენ, რომ მონასელიძემ ესროლა, მაგრამ ეკავა კი მას საერთოდ ეს იარაღი, ორი წლის მერე ამას ვერ დავადგენდით. რურუას ცხედარი ბრე-

ტყვიებს, შპალერზე სისხლის კვლივც აღმოვაჩინე, ბიოლოგიურმა ექსპერტებმა დაადასტურა, რომ რურუას სისხლი იყო. ე.წ. მკვლეელი კი დავაკავებო, მაგრამ **გიორგი რევიშვილი**, რომელმაც თითქოს მკვლელობის იარაღი მიუტანა მონასელიძეს, ვიდაცამ გააფრთხილა და ის საქართველოდან გაიქცა. პოლიციის ინფორმაციით, იგი ნოვოსიბირსკში ცხოვრობდა და ხილ-ბოსტნეულის ცენტრალურ ბაზაში მუშაობდა. ეს იყო და ეს, არადა ნოვოსიბირსკი თბილისზე დიდი ქალაქია, ამ

და თბილისში ჩამოგვეყვანა. ნოვოსიბირსკის ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის ხელმძღვანელობა კარგად შეგვხვდა, პროკურორის მკვლელობამ მათზე ძალიან იმოქმედა, სულ გათავხვდა კრიმინალური სამყარო და დახმარებაც აღგვიტყვეს, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის შესახებ რომ შეიტყვეს გაოგნდნენ, თქვენი ხელმძღვანელობა ხომ არ გაგიფრთხილდა, ნოვოსიბირსკში ხილ-ბოსტნეულის 60 ბაზაა, თანაც ყველა ცენტრალური და მარტო სახელით და გვართ კაცს ერთ კვირაში როგორ მოძებნითო. ფაქტობრივად, მე და მალხაზს უნდა გვეძებნა, რადგან ქარელის პოლიციის თანამშრომელი არაფრის მაქნისი იყო.

ერთ კვირაზე მეტი მარტო ხსენებული ბაზების ე.წ. დამუშავებას დაჭირდა, სადაც ძირითადად კავკასიელები და შუა აზიელები საქმიანობდნენ, ყველა ბაზაზე შევეკრიბეთ ამომწურავი ინფორმაცია, მაგრამ რევიშვილი მაინც ვერ ვიპოვეთ, მერე იქაურმა კოლეგებმა გვითხრეს, აქ ერთი პატარა ბაზაცაა და იქაც ნახეთო. მალხაზ ლუშაშვილმა გაარკვია, რომ ამ ბაზაში ქართველი მამა-შვილი მუშაობდა, რომლებიც ქარელის რაიონიდან იყვნენ, მივხვდით, რომ სწორ კვალზე ვიდექით, რევიშვილი ცხადია, თანასოფლელებს დაუკავშირდებოდა. არადა რევიშვილი თურმე სისტემატურად ურეკავდა საქართველოში ოჯახს, ნუთუ პოლიციას ამის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენთვის დამატებით არაფერი უცნობებიათ. ჩვენმა ხელმძღვანელობამ ბედის ანაბარა მიგვატოვა ციმბირში, სამივლინებო თანხაც

დავაკავებო და საქართველოში ჩამოვიყვანებო, ჩემი თავისთვის დღემდე ვერ მიპატიებია, რომ ის მანამდე არ დაგვითხე, რომ გამეკვია საიდან აღმოჩნდა მათ ხელში ოთხ მკვლელობაში „მონაწილე“ პისტოლეტი. თბილისის აეროპორტში პოლიციისა და პროკურატურის მთელი „ბომონდი“ დაგვხვდა, დაკავებული რევიშვილი ჩაიბარეს და ჩვენ აღარც გავხსენებიათ, იქვე დაგვტოვეს. ამის შემდეგ რევიშვილს კი არა, საერთოდ ამ საქმეს აღარ გამაკარეს. მერე ისე გამოვიდა, რომ თურმე რევიშვილი ქარელის პოლიციის თანამშრომელმა დააკავა, ჩემთვის და მალხაზისთვის სიტყვიერი მადლობაც არ უთქვამთ, ერთადერთი გამოწაკისი პროკურატურის გამოძიებელი **ლავით ზირაძე** იყო. ამ საქმიდან რომ ჩამოვეცილებინე თითქოს რუსთაველი გადავყავდი სს-ის სამმართველოს უფროსად, **მიხეილ ქურდაძის** მკვლელობის საქმეზე მუშაობაც გაჩერდა, რევიშვილი დაჰკითხეს თუ არა და რა თქვა, ისიც არ ვიცო. რამდენადაც ვიცი, არც მიმუშავია, ჯერ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში გადავვდი, თუმცა მალევე სამინისტროს აპარატში დაგბრუნდი. **ლავით კეკუაძე** უპრობლემოდ მიმიღო, თურმე თვითონ გადადიოდა შს მთავარ სამმართველოში და არ უნდოდა იქ დაგვედროდი. ყველაფერი ეს ეჭვს უფრო მიძლიერებდა, რომ სამართალდამცავი სტრუქტურები მიხეილ ქურდაძის მკვლელობის საქმის რეალური გახსნით არ იყვნენ დაინტერესებულნი.

გაბრძელები. დასაწყისი
იხ. წინა ნომერი





- ბატონო დავით, 2001 წელს პროკურორ ქურდაძის მკვლელობის ძიება განაზღვრულა და მკვლელიც დაუკავებიათ, თუმცა თქვენ არც კობა გურგენიძის დამნაშავეობის გვერათ. თქვენი ეჭვები რით იყო გამოწვეული, თქვენი აზრით, ვინ არის რეალური მკვლელი?

- ეს საქმე თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოს ჰქონდა, საიდანაც 2001 წელს სამინისტროში წერილი მოვიდა ქურდაძის მკვლელობა გავსენით, გურგენიძე და მისი დაჯგუფება დაკავებულია, დახმარება გვესაჭიროება, გთხოვთ, ის კადრები ჩართოთ, ვისაც ადრე უმუშავია ამ საქმეზე. სამინისტრომ მე მიმავლინა, მაგრამ ყურადღებას არავენ მამკვლელს, ჩემგან რა დახმარება სჭირდებოდათ, არც ის უთქვამთ. ერთი სიტყვით, არც აქ გამაქარეს ამ საქმეს.

გურგენიძის ფიზიკური მონაცემები ემთხვეოდა მიხეილ ქურდაძის მკვლელისას, ისიც მალაღი სპორტული აღნაგობის იყო, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. გურგენიძისთვის არ უნდა ეკითხათ საიდან ჰქონდა მას შანიძის ტაბელური იარაღი, რატომ მოკლა ქურდაძე, თუ შეკვეთილი მკვლელობა იყო, ვისგან მიიღო ეს დავალება. გამოძიება თუ სიმართლის დადგენის სურვილი ჰქონდა, შეეძლო გურგენიძე ყოველგვარი ფიზიკური ზეწოლის გარეშეც გამოეტყუებინათ. დიდი ეჭვი მაქვს, რომ

რაც არ აწყობდათ, იმას არ გააკეთებდნენ. ვეჭვობ, რომ შსს-სა და პროკურატურის ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა, რომ ხსენებული ორი პიროვნება გურგენიძის ახლობლები არ იყვნენ და ამიტომაც არ ჩაატარეს ამოცნობა. აქედან გამომდინარე დასკვნა გამოვიტანე, რომ მიხეილ ქურდაძის მკვლელობაში გურგენიძის მონაწილეობა სრული ბლეფი იყო. რაც შეეხება მიხეილ ქურდაძის მკვლელობის მოტივს, აქ ერთმანეთს გადაეხლართა პოლიციის მაშინდელი მალაღინოსის და ერთ-ერთი მინისტრის მოადგილის ინტერესები. ამ უკანასკნელმა იმ პერიოდში მძიმე დანაშაული ჩადინა და დაკავებული იყო, მან გათავისუფლების სანაცვლოდ თურმე მიხეილ ქურდაძეს 200.000 დოლარი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. პროკურორი ქურდაძე უპატიოსნესი ადამიანი იყო და ასეთ ბინძურ გარიგებაზე არაფრით წავიდა, რაც სიცოცხლის ფასად დაუჯდა. სხვათა შორის, ამ პიროვნების სატელეფონო საუბრებს უსმენდა თბილისის პოლიცია და თითქოს ვერაფერი გაარკვევს. პოლიციის მალაღინოსის კი პროკურორმა ქურდაძემ ლინჩის წესით გასამართლებულთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი სია დაუღო და წარდგინებაც გაუკეთა. მოხდებოდა მკვლელობა ან სხვა მძიმე კატეგორიის დანაშაული, პოლიცია აკავებდა ეჭვმიტანილს და როცა მისი ეტაპირება უნდა მომხდარიყო, ვიდაც ატყობინებდა ამის შესახებ დაზარალებულებს, ისინი ხვდებოდნენ პოლიციის ავ-



„სიტი პარკი“ — კვლავ ძველი პრობლემა თუ ახალი თავსატეხი?

ვითარება გაუარესდა. როგორ გაიმარჯვა დედაქალაქის მერიის გამოცხადებულ ტენდერში უცხოურმა ფირმამ, სხვა თემაა, მაგრამ, ვნახოთ, რა გაკეთდა მათ მიერ ჩვენს ქალაქში. ყველასთვის კარდად ცნობილმა შპს „სიტი პარკმა“ თბილისის ქუჩებში თეთრი საღებავით შემოხაზა ადგილები და მხოლოდ აქ შეიძლება მანქანების გაჩერება, გააფრთხილა მძღოლები. ამისთვის კი წლიური მოსაკრებელი დააწესა. ამას გარდა, მათ კიდევ ერთი „დიდი“ სასაქმე გააკეთეს — საჯარიმო სადგომები გახსნეს და ამისთვის ევაკუატორებიც შეიძინეს. სხვა მეტი მათ არც არაფერი გაუკეთებიათ. თუმცა მეტი რა უნდა გაეკეთებინათ, გარდა იმისა, რომ თუნდაც მცირე ღირებულებით გაჩერებული მანქანები პირდაპირ საჯარიმო სადგომებზე მიაქვთ. მძღოლმა ჯარიმის გარდა ევაკუატორის „მომსახურების“ თანხაც უნდა გადაიხადოს.

„სიტი პარკის“ ტანისამოსში გამოწყობილი ხალხი კი, ძირითადად, ისეთ ქუჩებში დადიან, სადაც ევაკუატორებს უჭირთ გავლა და ჯარიმებს ჯარიმებზე არიგებენ. ამ ინსპექტორების გამოწვევით ჯარიმების დარღვევის მიზეზი შეიძლება, ზოგჯერ კურიოზულ შემთხვევებსაც მივაწეროთ, რომელიც სატირიკოსებისთვის მსუყე ლუკმაც გამოდგეს. მაგალითად, „ტროტუარზე ორი თვალთ პარკირება“. რა გამოდის, ორი თვალთ მძღოლი წესებს იცავდა და ორით არღვევდა? ასეთ შემთხვევაში მძღოლისთვის, ალბათ, ჯარიმის ოდენობის ნახევარი უნდა გამოეწერათ. აქვე სათქმელია, რომ ზოგიერთი ინსპექტორი ოქმზე ხელის მოწერის მაგიერ გვარ-სახელის ინციფლებს ტოვებს. სავარაუდოდ, „სიტი პარკში“ ანბანის, წერა-კითხვის ცოდნა აუცილებელი არ ყოფილა.

ტროტუარებზე პარკირება თბილისში მოდალ იქცა. ზოგიერთადგილებში ტროტუარზე მანქანებია ჩახერგილი, ფეხით მოსიარულეებს კი მანქანების სავალ ნაწილზე უხდებათ გავლა, რაც მათთან ერთად მძღოლებსაც უქმნის

საფრთხეს. ავტომობილების მფლობელები დამით ყველა თავისი სახლის წინ აჩერებს მანქანებს. იხერგება კორპუსებთან მისასვლელი. დილაუთენია იწყება გადაძახილ-გადმოძახილი „გაიფანე!“ „გამატარე!“ თანაც, ღმერთმა დაიფაროს და, საჭირო რომ გახდეს სპეცტექნიკის მისვლა ექსტრემალურ ვითარებაში, თითქმის შეუძლებელი ხდება.

„სიტი პარკს“ თავიდან ე. წ. „სტაიანშიკების“ გაყვანა უნდოდათ თბილისის ქუჩებიდან, მაგრამ გარკვეული თუ გაურკვეველი მიზეზებით კვლავ დატოვეს. მათ უკავიათ ყოფილი ავტონსპექტორების ჯოხები და ვითომ არეგულირებენ ან დარაჯობენ მანქანებს. ეს ერთი შეხედვით, თორემ სინამდვილეში მხოლოდ ფულს სძალავენ მძღოლებს. ფაქტობრივად, უთოფოდ ყაჩაღობენ. მძღოლს წლიური გადასახადი უკვე აქვს გადახდილი, მაგრამ „სტაიანშიკი“ მაინც ართმევს ფულს. აბა, რის დამცველი უნდა იყოს გამობრუებული ადამიანი,

მანქანა ქალმა გააჩეროს და კაცმა წაიფანოს, ამასაც კი ვერ ამჩნევენ, მთავარია, ხურდა ჩაიხრიალონ ჯიბეში.

საჯარიმო სადგომებიც ნაცვლად, ზომ არ ავლობდა „სიტი პარკს“, რომელთანაც უამრავი პრეტენზია აქვს მოსახლეობას, ავტოსადგომები, თუნდაც ფასიანი, მოეწყობოთ. უფულობას ნამდვილად ვერ დაიჩივლებენ. სხვის ჯიბეში ფულის დათვლას ნამდვილად არ ვაპირებთ, მაგრამ თითოეული მანქანის საჯარიმო სადგომიდან გამოსვლა 100 ლარი მაინც უჯდებათ მფლობელებს. 20 წუთში ერთ საჯარიმოზე 5 მანქანას რომ შეიფანენ, დღის მანძილზე, საერთო ჯამში დავითვალთ, რამდენი გამოდის. არც ფასიანი სადღეღამისო სადგომების



მას ეს მკვლელობა საკუთარ თავზე აალებინეს, ის იმ პერიოდში უმუშევარი იყო, მატერი-ალურად ძალიან უჭირდა და გარკვეული „გასამრჯელოს“ ფასად მისი დაყოლიება არ გაუჭირდებოდათ.

როგორც უკვე გითხარით, შანიძისა და ნათიძის მკვლელს ქერათმიანი ახალგაზრდა ქალი და მომცრო ტანის ბიჭი ახლდნენ, რომლებიც გურგენიძის ცოლსა და ძმაცაცს მივამსგავსეს. საკითხი დავაყენე, რომ ამ უკანასკნელთათვის ფოტოები გადაგვეღო და იმ პირთათვის გვეჩვენებინა, რომლებიც ხსენებულ მკვლელობას შეესწრნენ, რომ იქნებ ამოცნოთ, მაგრამ ყური არავენ შეიბერტყა, ასე იცოდნენ, მოვისმენდნენ, მაგრამ

ტომანქანას და დაკავებულს ლინჩის წესით უსწორდებოდნენ. ცხადია, ეს ინფორმაცია პოლიციიდან ჟონავდა. აქედან გამომდინარე ხსენებულ მალაღინოსსანს ცუდად ჰქონდა საქმე, სასჯელს ვერ ასცდებოდა და ამიტომაც მოიმორეს მიხეილ ქურდაძე. წინა ინტერვიუში გითხარით, რომ ბუთურიშვილთან დაკავშირებით, რომელსაც ქურდაძის მკვლელობის იარაღი აღმოაჩნდა, ერთ-ერთ წამყვან გაზეთში გამოქვეყნდა სტატია, თითქოს დაკავებულ ბუთურიშვილზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ვახდენდი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სტატიის უკან, სწორედ პოლიციის ეს ყოფილი მალაღინოსი იდგა.

მანანა სუნიოვილი
599 51 28 24



მოწყობა იქნებოდა ძნელი. ამით ეზო-ქუჩებიც განიტვირთებოდა და მძღოლებიც მშვიდად იქნებოდნენ. თუმცა სად მივიდინება ამოღებული თანხა? ეს ჯერ კიდევ გასარკვევია.

დედაქალაქის დღევანდელი მერია და საკრებულო თბილისის მოსახლეობას დაჰპირდა, მათ საქმიანობას შევისწავლით, ქუჩებში ვითარებასაც გამოვასწორებთ, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა. თუ საჭიროა და დედაქალაქს სასიკეთოდ წაადგება, არც მათთან ძველი კონტრაქტის გაუქმებაზე უნდა ვოქვით უარი, თორემ ქუჩაში სიარული, თუნდაც ტროტუარზე, სასიფათოა.

გია ბურღული
551 71 27 07

სააკაშვილის ბელესეთურები

ვინმემ გააჩერეთ ეს „ჯულიეტოვიჩი“ და „გრიგოლიჩი“, სანამ პირდაპირ ღია ეთერში სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირება არ მოუხდენიათ

ინგა გრიგოლიას „რეაქციას“ დიდი შიშით და შეშფოთებით ვუყურე: – აი, ახლა გადავლენ გადაცემის მონაწილენი ფიზიკურ ანგარიშსწორებაზე და აქ, პირდაპირ ღია ეთერში, შეიძლება ახალი სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყოს მეთქი.

გადაცემის მონაწილენი იმდენად აგრესიულად, შეიძლება ითქვას,



ზიზღითაც იყვნენ ერთმანეთის მიმართ განწყობილნი, იმდენად უკიდურესობამდე დაჭიმული ნერვიული ატმოსფერო იყო სტუდიაში, რომ ჩემი შიში სულაც არ გახლდათ საფუძველს მოკლებული.

გადაცემის წამყვანი ინგა გრიგოლია, იმის ნაცვლად, რომ გადაცემა წაეყვანა, იძულებული იყო დროის უმეტესი ნაწილი უკიდურესად გაღიზიანებული მოპაექრების დასაშორებლად და მის მიერვე დანიშნული ხანძრის ჩაქრობაში დაეხმარებოდა, თუმცა არც ამას ჰქონდა აზრი – ცოტა ხნით დამცხრალი და დაწყნარებული მოპაექრები ისევ ახალი ენერგიით ეკვეთებოდნენ ერთმანეთს და თავიანთი მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად სულ უფრო და უფრო უწყვიდნენ ხმას, რომ ოპონენტის ხმა როგორმე გადაეფარათ.

საბედნიეროდ, იმ დამეს საქმე ხელნართულ ცემა-ტყეპამდე არ მიხულა, როგორც ეს გადაცემა „არჩევანში“ მოხდა, სადაც ინციდენტის გასწავლასთან დაკავშირებით



ხარჯავენ ამ აგრესიით დამუხტული ტელესპექტაკლების მოწყობაში?

ცხადია, როცა გადაცემაში იწვევ ადამიანებს, რომლებიც, უტყუარად იცი, რომ ერთმანეთს არიან დაპირისპირებულნი და მხარეებს წარმოადგენენ, ისიც წინასწარ გაქვს გათვლილი, რომ ეს ადამიანები გადაცემის მსვლელობის დროსაც გააგრძელებენ ურთიერთბრადუნებს და მათ შორის აგრესიული დამოკიდებულება კი არ ჩაცხრება, არამედ კიდევ უფრო გამწვავდება და გამძაფრდება.

ეს არის მიზანი, რასაც ჟურნალისტები უნდა ემსახურებოდეს?

საზოგადოების გახლეჩვა, საზოგადოების ორ დაპირისპირებულ ბანაკად გაყოფა, მათ შორის არსებული უფსკრულის კიდევ უფრო გაზრდა და გაღრმავება – ეს არის სა-

ან და რომელთა პირდაპირი მოვალეობაა, ქვეყნის ინტერესებს ემსახურონ და არა მის წინააღმდეგ ძირგამომხრელი საქმიანობა აწარმოონ.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს ჟურნალისტები (მიჭირს, მათ ქართველი ჟურნალისტები ვუწოდო) რომელიმე უცხო სახელმწიფოს სპეცსამსახურების აგენტები არიან,

ამ თოქ-შოუსებს რომ უყურებ, შეიძლება იფიქრო, რომ უჩვეულო და უცნაურ სასამართლო პროცესზე ხარ, სადაც მოსამართლედ, პროკურორად და ადვოკატად ერთი პიროვნება, ანუ გადაცემის წამყვანია, რომელიც ვითომ მიუკერძოებელი და ობიექტური სიმართლის დადგენას ცდილობს, თუმცა ძალიან კარგად იცის, რომ სიმართლის დადგენა სატელევიზიო გადაცემის ფორმატში შეუძლებელია.

ასე რომ, ეს ყველაფერი სიმართლის დადგენას კი არა, ინფორმაციების და აჭრას და ალუფხვას ისახავს მიზნად, რომ მყურებელს თავგზა დაეხმოს და ტყუილის და სიმართლის ერთმანეთისგან გაყოფა

თუმცა საქმე, რომელსაც ისინი აკეთებენ, ძალიან ჰგავს აგენტურული იდეოლოგიის საქმიანობას. აბა, დააკვირდით, გადაცემის მსვლელობისას როგორ ასხამენ ისინი ცეცხლზე ნავთს, როგორ ცდილობენ, რაც შეიძლება მაღლა ასწიონ ტემპერატურა სტუდიაში და რაც შეიძლება გაამძაფრონ აგრესიული დამოკიდებულება გადაცემის მონაწილეებს შორის, მაპატიეთ გამოთქმისთვის და ერთმანეთს მიუხიონ და ერთმანეთი დააჭმევინონ.

ასე მამლებს აჩხუბებენ ზოლმე, უფრო ადრე კი, რომის იმპერიაში, გლადიატორები გამოჰყავდათ არენაზე და იმპერატორის და სეირის საყურებლად მოსული პუბლიკის გასართობად და თავშესაქცევად, ერთმანეთს ახოცინებდნენ.

ბოლოს ვიხდი ამ უხერხული პარალელებისთვის, მაგრამ, თქვენ, ვინც პირველი დამახებისთანავე ხალხით მიეშურებით გრიგოლიების, გაბუნების და კიდევ სხვა ვიღაც-ვიღაცების პროვოკაციულ თოქ-შოუსებში მონაწილეობის მისაღებად, ნუთუ ვერ ხვდებით, რომ ეს ე. წ. ჟურნალისტები „მასოკად“, მასალად, მოჩხუბარ მამლებად თუ გლადიატორებად ცდილობენ თქვენს გამოყენებას, რომ შექმნან „სანახაობა“, თავისი არსით და დანიშნულებით უადრესად სახიფათო და საშიში მთელი საზოგადოებისთვის.

რომელი რომის იმპერატორი ინგა გრიგოლია ან გიორგი გაბუნია მყავს, რომ მათი თითის დაქვეყნაზე ხან „იმედის“, ხან „რუსთავი-2“-ის ტელეკარენაზე მოჩხუბარი მამლების თუ გლადიატორების როლის შესასრულებლად გამოხეიდეთ.

გადაცემის მსვლელობისას, როცა უშუალოდ ხართ ჩართული გადაცემის დინამიკაში, ალბათ, ძველია მისვლეთ, თუ რას მამაძაღლებენ ეს ტელეესეთურები, რა პარატექნოლოგიებს იყენებენ მიზნის მისაღწევად, როგორ ოსტატურად ადგებენ „ჩორტებს“ მოპაექრე მხარეებს შორის და როგორ თანმიმდევრულად და მი-

ზანმიმართულად აღვივებენ ცეცხლს და როგორ მიჰყავთ სიტუაცია იმ კრიტიკულ ზღვრამდე, სადაც ურთიერთგაგება, ურთიერთმიტეგება ან რაღაც საერთო დასკვნის გაკეთება შეუძლებელია.

ამიტომაც იქნებ გადაცემის ჩანაწერი ნახოთ, ძვირფასო მეგობრებო, ერთხელ მაინც და მშვიდად გაანალიზოთ და შეაფასოთ, რა ხდება ამ გადაცემებში.

ამ თოქ-შოუსებს რომ უყურებ, შეიძლება იფიქრო, რომ უჩვეულო და უცნაურ სასამართლო პროცესზე ხარ, სადაც მოსამართლედ, პროკურორად და ადვოკატად ერთი პიროვნება, ანუ გადაცემის წამყვანია, რომელიც ვითომ მიუკერძოებელი და ობიექტური სიმართლის დადგენას ცდილობს, თუმცა ძალიან კარგად იცის, რომ სიმართლის დადგენა სატელევიზიო გადაცემის ფორმატში შეუძლებელია.



და გარჩევა ვერ შეძლოს. და მაინც, ვის შეკვეთას შეიძლება ასრულებდნენ ეს „ჯულიეტოვიჩი“ და გრიგოლიჩი-გრიგოლია?

ვინც 15 ნოემბერს „ნაცმოძრაობის“ აქციაზე მიხეილ სააკაშვილის კივილიან ჩართვას ტექსტს მოუსმინა, თუ ოდნავ კეთილსინდისიერი ადამიანია, აუცილებლად გაუჩნდება ეჭვი, რომ „რუსთავი-2“-იც და „იმედის“ც, თავიანთი ჯულიეტოვიჩების და გრიგოლიჩების თოქ-შოუებით, პირდაპირ სააკაშვილის ინსტრუქციებს და „საბრძოლო“ დავალებებს ასრულებენ.

აბა, ერთი წუთით გავიხსენოთ, რას ამბობდა „ნაცების“ ბელადი ამ გამოსვლაში:

„ჩვენ წინაშეა ორი ურთიერთდაპირისპირებული მოდელი: ერთი, რომლისაც გვჯერა ჩვენ და მეორე, რომელიც უნდა ივანიშვილს. ამ ორ ხედვას შორის ძალიან, ძალიან დიდი განსხვავებაა იმიტომ, რომ არის ერთის მხრივ, დირსეული საქართველო და მეორეს მხრივ, მიჯიჩივილი საქართველო“.

ერთის მხრივ, არის საქართველო, რომელიც მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, მაინც იბრძვის

საკუთარი ღირსებისთვის და მას უნდა მეორე საქართველო, რომელიც ბაბაის ებახის დათვს და მორჩილად მიყვება მას ბუნგაში; ერთის მხრივ არის საქართველო, რომელიც მთელი მსოფლიოს გასაგონად საუბრობს ოკუპაციაზე, ჩვენს უფლებებზე, ჩვენს ლტოლვაზე თავისუფლებისკენ და მეორეს მხრივ, მათ უნდათ საქართველო, რომელსაც არ სჯერათ, რომ რუსეთს აქვს დაპყრობის გეგმები და აგრესიული ზრახვები ჩვენს და სხვა მეზობლების მიმართ; ერთის მხრივ, არის საქართველო, რომელიც მდის ევროპის გზით, რომელსაც სწამს, რომ მხოლოდ ამ გზას მიყვებით თავისუფლებისკენ... და მეორეს მხრივ, არის საქართველო, რომელიც, თუ რა გზით იაროს, უთანხმებს ამას უთავმოყვარედ კარასინს, კრემლის შიკრიკს“.

როგორც ხედავთ, საქართველოს ორად გაყოფა და მერე ამ ორად გაყოფილი საქართველოს ერთმანეთისთვის დაჯახება სააკაშვილის ოცნებაა.

განა ამ ოცნებას არ ასხამენ ხორცს თავიანთი თოქ-შოუსებში ინგა



პოლიციის გამოძახებაც კი გახდა საჭირო.

... ვისხენებ ამ თოქ-შოუსებს („რეაქცია“ და „არჩევანი“), ვისხენებ დეტალებს, ვისხენებ წამყვანების მიერ სპეციალურად ჩაგდებულ ინტრიგულ ჩართვებს, ვანალიზებ გადაცემების დრამატურგიულ სქემებს და ვფიქრობ: – რა მიზნებს ემსახურება ეს გადაცემები? რისი მიღწევა სურთ ამ თოქ-შოუსების ავტორებს? რა რჯით? რა ამოძრავებთ, აძლენ ძვირადღირებულ საერთო დროს, აძლენ ენერჯიას რომ

ინფორმაციო საშუალებების, კერძოდ, ქართული ტელეარხების მთავარი მიზანი და ამოცანა?

ეს ხომ საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ღია ბრძოლაა, ქვეყანაში დესტაბილიზაციის პროვოცირების მცდელობაა, რასაც შეიძლება ამ ქვეყნის ასარევად და დასანგრევად მომართული რომელიმე უცხო სახელმწიფოს სპეცსამსახურები აკეთებდნენ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ჟურნალისტები, რომლებიც ამ ქვეყნის მოქალაქეებად იწოდები-

